აჭარა

www.gazetiajara.ge

გამოცემის 102-ე წელი

გამოდის: სამშაბათს, ხუთშაბათს, შაბათს

№112 (24.992) ხუთშაბათი, 13 - 17 ოქტომბერი, 2022 წ. 50 თეთრი

გარემოს ეროვნული სააგენტოს აჭარის ჰიდრომეტეოროლოგიური ობსერვატორიის ცნობით

დღეს მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, უნალექოდ, ცვალებადი მიმართულების ქარი – 8-13 მეტრი წამში, ტემპერატურა სანაპირო და შიდამთიან რაიონებში - 22-27, მთაში - 10-15 გრადუსი სითბო.

ზღვის წყლის ტემპერატურა 19 გრადუსია, ატმოსფერული წნევა – 763 მილიმეტრი.

მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

კრიალოსა N იუსი

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ჯუანშერ ბურჭულაძე ნატოს თავდაცვის მინისტერიალში მონაწილეობს. მინისტრებმა უკვე გამართეს შეხვედრა ნატოს გენერალურ მდივანთან იენს სტოლტენბერგთან. ჯუანშერ ბურჭულაძე ასევე რამშტაინის ფორმატში უკრაინის საკონტაქტო ჯგუფის შეხვედრას დაესწრება, რომელიც აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტის ორგანიზებით იმართება. შეხვედრაზე უკრაინაში არსებული ვითარება, ქვეყნის საჭიროებები და შესაძლებლობები, ასევე სამომავლო პერსპექტივები და უკრაინის დასახმარებლად ნატოს წევრი და არაწევრი ქვეყნების შესაძლებლობები განიხილება. ვიზიტის ფარგლებში დაგეგმილია ორმხრივი შეხვედრებიც.

* * *

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი სამხრეთ კავკასიაში ევროპის საინვესტიციო ბანკის რეგიონულ წარმომადგენელს მაჩეი ჩურას შეხვდა. შეხვედრაზე ხაზი გაესვა ევროპის საინვესტიციო ბანკის ფინანსური მხარდაჭერის მნიშვნელობას საქართველოს პრიორიტეტული სექტორების განვითარების მიმართულებით. აღინიშნა, რომ EIB-თან თანამშრომლობა მნიშვნელოვანია არა მხოლოდ ერთობლივი მსხვილი საინვესტიციო პროექტების მიმართულებით, არამედ საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კონტექსტში.

* * *

საქართველოს პრეზიდენტი სალომე ზურაბიშვილი რუმინეთში ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, ქალაქ კონსტანცაში, საზღვაო პორტის აღმასრულებელ დირექტორ ფლორინ ვიზანს შეხვდა, რომელმაც კონსტანცას პორტში უმასპინძლა. შეხვედრისას ისაუბრეს რუმინეთსა და საქართველოს შორის ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებასა და საზღვაო-საბორნე გადაზიდვის ხაზების ჩამოყალიბებაზე.

* * *

შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე ალექსანდრე დარახველიძემ რუსეთის სპეცსამსახურების ბრალდებებთან დაკავშირებით კომენტარი გააკეთა და განაცხადა, რომ ქართულ მხარეს ყირიმის ხიდის აფეთქებასთან შემხებლობა არ აქვს. „საქართველოს აღნიშნულ საკითხთან არანაირი შემხებლობა არ აქვს. როგორც ტრანზიტული, ასევე არა ტრანზიტული ტვირთები საქართველოში გადის საბაჟო კონტროლს. მსგავსი საეჭვო ფაქტი არ დაფიქსირებულა“, - განაცხადა ალექსანდრე დარახველიძემ. რუსული მედიის ცნობით, აგვისტოს დასაწყისში ტვირთი გაიგზავნა ოდესის პორტიდან ბულგარეთის რუსეს პორტში, ბულგარეთიდან ტრანსპორტირება საქართველოს ფოთის პორტში, შემდეგ კი სომხეთში გაგრძელდა.

მოამზადა
ია შველიძემ

თორნიკე რიჟვაძე: პარტნიორული ურთიერთობით შევძლებთ ბოლო სამი წლის განმავლობაში ავარიული სახლების პრობლემის გადაჭრას

ზიჟრია დავლაძე 597 25 25 72

12 ოქტომბერს აჭარის მთავრობასა და კერძო სექტორის წარმომადგენლებს შორის შეხვედრა გაიმართა, რაც ითვალისწინებდა კერძო სექტორის წარმომადგენლებისთვის „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ სახელმწიფო პროგრამისა და სამშენებლო კოდექსში შესული ცვლილებების გაცნობას

შეხვედრაზე აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან ერთად ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი და მთავრობის წევრები იმყოფებოდნენ. პროგრამა „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ ითვალისწინებს სახელმწიფოსთან ერთად პოტენციური ინვესტორების, სამშენებლო-დეველოპერული კომპანიების, საფინანსო ორგანიზაციების ჩართულობას აღნიშნულ პროცესში. პროგრამის წარმატებით განხორციელების მიზნით შემუშავებული არაერთი ღონისძიების პარალელურად, საქართველოს პარლამენტმა მიიღო ბათუმის მერიის მიერ ინიცირებული კანონპროექტი. მანამდე მოქმედი კოდექსი ავარიული სახლის ჩანაცვლების შემთხვევაში იგივე მოცულობის შენობის აშენების შესაძლებლობას არ იძლეოდა, რაც შეუძლებელს ხდიდა ავარიულ სახლში მცხოვრებთა საბინაო პრობლემის გადაჭრას. პროექტის დასრულებას უზრუნველყოფს აჭარის მთავრობა 150 მლნ ლარის მოცულობის ფინანსური გარანტიით, უძრავი ქონების შესყიდვის ინსტრუმენტის გამოყენებით.

- ჩვენთვის ნომერ პირველ პრიორიტეტად რჩება ავარიულ სახლებში მცხოვრები მოსახლეობა და მათი უსაფრთხო საცხოვრისით უზრუნველყოფა. დაინტერესება დიდია კერძო სექტორის მხრიდან და დარწმუნებული ვარ, ერთობლივი, პარტნიორული ურთიერთობით შევძლებთ, რომ ეს ძალიან დიდი გამოწვევა გადავჭრათ შემდგომი სამი წლის განმავლობაში. ასევე, მნიშვნელოვანი იყო ის ცვლილებები, რომლებიც განორციელდა სამშენებლო კოდექსში. ეს კიდევ უფრო მეტ მოტივაციას მისცემს კერძო სექტორს და ამ პროგრამის შესრულების სტიმულიც მოიმატებს, - განაცხადა შეხვედრაზე თორნიკე რიჟვაძემ.

ბათუმში 3000-ზე მეტი ოჯახი ავარიულ პირობებში ცხოვრობს. მათ შორისაა თამარ მეფის ქუჩაზე მცხოვრები ლელა მსხილაძის ოჯახიც. მარტოხელა დედა წლების განმავლობაში შვილთან ერთად ამორტიზებულ, ბარაკული ტიპის საცხოვრებელში ცხოვრობს. როგორც ჩვენთან საუბარში თქვა, არაერთხელ დაწერა განცხადება შესაბამის უწყებაში დახმარების თხოვნით. ადგილზე სპეციალისტებიც მივიდნენ, კორპუსს ავარიულის სტატუსიც მალევე მიენიჭა, თუმცა 20-მდე ოჯახი დღემდე აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს. ბოლოს, ერთი წლის წინ მოსახლეობამ ტელევიზიებსა და ინფორმაციის სხვადასხვა საშუალებას პრობლემის შესახებ აცნობა.

ინ. 33-2 33.

«პეგასუსი» საქართველოს მიმართულებით ანკარიდან ფრენას იწყებს

2

ლაშა ბაქრაძე: ჩვენ გვყავს საერთო მტერი, ამიტომ უკრაინის ომი საქართველოს ომიცაა

5

სამყარო, რომელსაც «სოროპტიმისტ ინტერნაციონალი» ჰქვია

4

კურორტი ხულოს უკავშირდება

6

გამოიწერეთ გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში დაგვიკავშირდით:

577 20 43 55.

„პეგასუსი“ საქართველოს მიმართულებით ანკარიდან ფრენებს იწყებს

ხატია იაშვილი 555 18 48 88

ტურიზმის მიმართულებით თურქეთ-საქართველოს თანამშრომლობის გაღრმავებისთვის 11 ოქტომბერს სტამბოლში სამუშაო ჯგუფის შეხვედრა გაიმართა. შეხვედრას აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ხელმძღვანელი თინათინ ზოიძეც ესწრებოდა

ვიზიტის ფარგლებში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე მარიამ ქვრივიშვილმა შეხვედრა გამართა თურქული ავიაკომპანიების წარმომადგენლებთან.

თურქეთის ავიახაზებისა და ავიაკომპანია „პეგასუსის“ წარმომადგენლებთან შეხვედრაზე საუბარი შეეხო საქართველოს მიმართულებით ავიარეისების ოთხივე სეზონზე შესრულებას, გამოითქვა მზაობა, რომ ზამთრის სეზონზე ბათუმის მიმართულებით გაგრძელდეს ოპერირება კვირაში 5-ჯერ, რაც კიდევ უფრო შეუწყობს ხელს აჭარაში ტურისტული ნაკადების ზრდას, ავიაკომპანია „პეგასუსი“ კი საქართველოს მიმართულებით ანკარიდან ფრენებს იწყებს და პირველი ავიარეისი 2 ნოემბერს შესრულდება.

შეხვედრის ფარგლებში საუბარი შეეხო ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის მიმართულებით თურქეთის ავიახაზებისა და ავიაკომპანია „პეგასუსის“ მიერ შესაძლო ავიარეისების დანიშვნის საკითხს.

შეხვედრაზე, რომელსაც საქართველოს დელეგაციასთან ერთად თურქეთის მთავრობისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ, საერთო ტურისტული პროდუქტების შეთავაზებაზე, გამოცდილების გაზიარებაზე, მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე, ტურისტული პროდუქტების განვითარებაზე ტრენინგებისა და ტურისტული ღონისძიებების სფეროში თანამშრომლობის საკითხებზე ისაუბრეს.

სამუშაო ჯგუფის შეხვედრა თურქეთში საქართველოს საელჩოს ჩართულობითა და ორგანიზებით გაიმართა.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის პირველი მოადგილე თამარ ყორიაული თურქეთის „საგარეო ეკონომიკური ურთიერთობის საბჭოში“ (DEIK) შემავალი თურქეთ-საქართველოს ბიზნესსაბჭოს წარმომადგენლებს შეხვდა.

შეხვედრაზე განხილული იყო საქართველოსა და თურქეთს შორის ტურიზმის სფეროში არსებული ურთიერთობების დინამიკა და სამომავლო თანამშრომლობის პერსპექტივები.

მაია ხაჯიშვილი და დოქტორი ღასან ხალილი – ქობულეთის სკოლაში

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი და გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელი საქართველოში დოქტორი ღასან ხალილი ქობულეთის № 3 საჯარო სკოლას ეწვივნენ, სადაც პროექტის „ინკლუზიური განათლების დანერგვის ხელშეწყობა აჭარის საჯარო სკოლებში“ ფარგლებში შეიქმნება ინკლუზიური განათლების ცენტრი

აღნიშნულ პროექტს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო საქართველოში გაეროს ბავშვთა ფონდისა და ნორვეგიის მთავრობის მხარდაჭერით 2022 წლიდან ახორციელებს.

პროექტის ფარგლებში, აჭარის ორ მუნიციპალიტეტში, სსიპ „დაბა ქედის საჯარო სკოლისა“ და სსიპ „ქობულეთის მუნიციპალიტეტის ქობულეთის № 3 საჯარო სკოლის“ ბაზაზე შეიქმნება ინკლუზიური განათლების ცენტრები, რომლებიც მომსახურებას გაუწევენ თითოეულ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებს სკოლის შემდგომი საგანმანათლებლო და რეკრეაციული აქტივობების შეთავაზების გზით.

ახალგაზრდების „ხმა“

ნანა აბულაძე 577 20 35 90

„ხმა“ - ასე ჰქვია წიგნს, რომელიც ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის პროგრამა, „ლიტერატურული ჰაბის“ ფარგლებში შეიქმნა და რომლის პრეზენტაციაც ხელოვნების უნივერსიტეტში გაიმართა

აჭარის ყველა მუნიციპალიტეტიდან პოეზიისა და პროზის მოყვარული 90-მდე ახალგაზრდა შეიკრიბა, რომლებსაც შესაძლებლობა ჰქონდათ, წარმოეჩინათ საკუთარი თავი, განევითარებინათ წერის ტექნიკა და უნარები, დასწრებოდნენ ლიტერატურულ მასტერკლასებს, სალონურ საღამოს, ტრენინგ-სემინარებს და სხვა მნიშვნელოვან აქტივობებს. დამწყებმა მწერლებმა და პროზაიკოსებმა პროგრამის ფარგლებში კონკურსი გაიარეს, რომლის შედეგადაც გამოვლენილი საუკეთესო ნამუშევრები ერთ წიგნად გამოიცა. წიგნის პრეზენტაციას, სადაც ახალგაზრდებმა თავიანთი ნამუშევრები წაუკითხეს დამსწრე საზოგადოებას, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი და მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლები დაესწრნენ, რომლებმაც ახალგაზრდებს შემოქმედებითი წარმატებები უსურვეს.

თორნიკე რიჟვაძე: პარტნიორული ურთიერთობით შევძლებთ ბოლო სამი წლის განმავლობაში ავარიული სახლების პრობლემის გადაჭრას

პირველი გვერდიდან

- ჩამონგრეული კედლები, ამოყრილი იატაკი, კიბე, რომელზეც გადაადგილება საფრთხის შემცველია, ამორტიზებული ჭერი, ეს ყველაფერი ჩვენს ბარაკშია. აქ მცხოვრებლებს გვეშინია ყოველი გაწვიმებისას ან დიდთოვლობისას ტრაგედია არ მოხდეს. სიმართლე გითხრათ, ძალიან შევშინდი შარშან, 8 ოქტომბერს, ბათუმში დატრიალებული ტრაგედიის შემდეგ. მიუხედავად იმისა, რომ გარეგნულად არაფერი ეტყობოდა კორპუსს ავარიულობის, სამშენებლო სამუშაოებმა მთლიანად ჩამოანგრია შენობა, აქ კი ლურსმნის მიჭედებაც გვეშინია, ან სად უნდა მიაჭედო. იმედს გვაძლევენ, ყოველ ჯერზე გვპირდებიან ახალი საცხოვრებლით დაგაკმაყოფილებთო, მაგრამ როდის? - ეს არ დაუკონკრეტებიათ. ამ ზამთარსაც როგორ გაუძლებს ბარაკი, არ ვიცით, - ამბობს ლელა მსხილაძე.

მთავრობის პრესსამსახურის ინფორმაციით, „ბათუმი ავარიული სახლების გარეშე“ პროგრამის ფარგლებში ყველა ოჯახი, ეტაპობრივად უზრუნველყოფილი იქნება უსაფრთხო საცხოვრისით. ამ მიმართულებით უკვე მიმდინარეობს სამუშაოები. ბათუმში გრიშაშვილის ქუჩაზე, დაახლოებით სამი თვის წინ მოხდა ორსართულიანი ბარაკის დემონტაჟი, სადაც 20-მდე ოჯახი ცხოვრობდა. ბათუმის მერიამ ადგილობრივები დროებით ქირით გაიყვანა, ავარიული შენობის ადგილზე კი მომდინარეობს 5-სართულიანი კორპუსის მშენებლობა. უწყებაში ამბობენ, რომ შესაძლოა, მშენებლობის დასრულების შემდეგ ახალაშენებული სახლით, ქირით გაყვანილ ოჯახებთან ერთად, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე ბარაკში მცხოვრები მოსახლეობაც დაკმაყოფილდეს.

პროგრამის ბიუჯეტი შეადგენს 80 მლნ ლარს და ავარიული სახლების ჩანაცვლება ეტაპობრივად მოხდება. პროგრამის განსახორციელებლად მხოლოდ 2022 წლის ბიუჯეტში 20 მლნ ლარია გათვალისწინებული. საჭიროების მქონე ყველა პირი ეტაპობრივად უზრუნველყოფილი იქნება ახალი უსაფრთხო საცხოვრისით. საბიუჯეტო პროგრამის პარალელურად განხორციელდება ავარიული და საცხოვრებლად გამოუსადეგარი სახლებისგან გამოთავისუფლებული მიწის ნაკვეთების კერძო სექტორისთვის შეთავაზება.

ამბები

გენდერული თანასწორობისთვის

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში გენდერული თანასწორობის საბჭოს სხდომა გაიმართა, რომელსაც საბჭოს თავმჯდომარე გურანდა დოლიძე უძღვებოდა

საბჭოს წევრებმა სხდომაზე გენდერული თანასწორობის ინსტიტუციური მექანიზმის გაძლიერებაზე, მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალისა და მამაკაცის თანაბარი მონაწილეობის მექანიზმების დამკვიდრებაზე, გენდერული სტატისტიკის როლის ამაღლებაზე, გენდერული აუდიტის უზრუნველყოფაზე, სამართლებრივი აქტების გენდერული ექსპერტიზის აუცილებლობასა და სტრატეგიის სხვა მნიშვნელოვან ამოცანებზე იმსჯელეს.

სხდომაზე საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ არჩეული იქნა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე მინდია დიასამიძე.

ასევე, განიხილეს გენდერული თანასწორობის საბჭოს ლოგოს შექმნის საკითხი. გადაწყდა, რომ შემუშავდეს წინადადებები ლოგოს ესკიზების შექმნის თაობაზე.

სხდომაზე საბჭოს წევრებმა მუნიციპალიტეტის მერიის მიერ გენდერული თანასწორობის მიმართულებით მიმდინარე წელს დაგეგმილი აქტივობების შესახებ მიიღეს ინფორმაცია.

გენდერული თანასწორობის საბჭო კამპანიის „შენი სიცოცხლე შენს ხელშია“ ფარგლებში, ძუძუს კიბოს ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო თვეს უერთდება. მსოფლიოში ოქტომბერი ძუძუს კიბოს შესახებ ცნობიერების ამაღლების საერთაშორისო თვედ მიიჩნევა. ამ თვეს 50-მდე ქვეყანა აღნიშნავს და სიმბოლურად მას „ვარდისფერ ოქტომბერს“ უწოდებენ.

მოსახლეობას შეხვდნენ

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

მოსახლეობასთან შეხვედრების ფარგლებში, აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე არჩილ ბერიძე ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ახალშენის მოსახლეობას შეხვდა

არჩილ ბერიძემ ადგილობრივ მოსახლეობას სამინისტროს მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე მიაწოდა ინფორმაცია, რის შემდეგაც მოსახლეობის მიერ დასმულ შეკითხვებს უპასუხა.

მოსახლეობასა და ხელისუფლების წარმომადგენლებს შორის შეხვედრები მომავალშიც აქტიურად გაგრძელდება.

შეხვედრას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები ესწრებოდნენ.

კომიტეტმა ალტერნატიულ პროექტს მხარი არ დაუჭირა

საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებების კანონპროექტი, რომელიც „ქართულმა ოცნებამ“ პირველი მოსმენით მიიღო და ვენეციის კომისიასა და ეუთო/ოდირს უკვე გადაუგზავნა, ოპოზიციისთვის არასრულყოფილია.

„ლელომ“, „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“, „სტრატეგია აღმაშენებელმა“ და „კანონი და სამართალმა“ ალტერნატიული პროექტი მოამზადეს, სადაც აქცენტები, ძირითადად, გაკეთებულია ცესკოს ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესზე, უცხოეთში მყოფი თანამოქალაქეებისთვის ხმების დაფიქსირების შესაძლებლობასა და ხმების ელექტრონული დათვლის სისტემაზე. ოპოზიციონერთა შეფასებით, „ოცნების“ მიერ განხორციელებული ცვლილებები ფასადურია და მას რაიმე მნიშვნელოვანი შედეგის მოტანა არ შეუძლია. პარლამენტის წევრების - დავით უსუფაშვილის, ხატია დეკანოიძის, ლევან ბეჟუაშვილის, გიორგი ვაშაძის და თამარ ჩარკვიანის ინიციატივით წარდგენილ „საქართველოს საარჩევნო კოდექსში“ შესატანი ცვლილების პროექტზე ამ დღეებში საქართველოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის სხდომაზე იმსჯელეს.

პროექტის მიხედვით, ცვლილებები შეეხება საარჩევნო ადმინისტრაციის ფორმირებას, ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების წესს, ამომრჩევლის იდენტიფიცირების საკითხს, საარჩევნო პროცედურების ელექტრონული საშუალებების გამოყენებით განხორციელებას, საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლებისთვის არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობის გაზრდას. მომხსენებელმა ლევან ბეჟუაშვილმა, საარჩევნო კოდექსში განსახორციელებელი ცვლილებებიდან გამომდინარე, „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ პროექტიც წარადგინა. მან აღნიშნულის შესახებ კომენტარი ჟურნალისტებთანაც გააკეთა. „ნაციონალური მოძრაობის“ დეპუტატმა საარჩევნო კოდექსში მმართველი გუნდისა და ოპოზიციის მიერ მომზადებული 2 კანონპროექტის კომენტირებისას აღნიშნა, რომ ოპოზიციის მიერ მომზადებული ცვლილებები კი არ ეწინააღმდეგება იმ ცვლილებებს, რომლებიც „ქართულმა ოცნებამ“ მოამზადა და პირველი მოსმენით მიიღო, არამედ პირიქით, ავსებს მას.

- თავად პროცესისთვის სასარგებლოა, რომ „ქართულმა ოცნებამ“, რომელიც როგორც სახელისუფლებო ძალა, თავისი პრიზმიდან უყურებს საარჩევნო პროცესებს, ცალკე მოამზადა ცვლილებები. ბუნებრივია, სხვა პოლიტიკური, სამართლებრივი ამოცანები აქვს ოპოზიციას, არასამთავრობო სექტორს, რომელიც თავიანთი პრიზმიდან უყურებენ საარჩევნო პრობლემატიკას. ამიტომ ბუნებრივიც არის, რომ 2 განსხვავებული კანონპროექტი დაიდო. ახლა პოლიტიკური პროცესის ხელოვნებაც იმაში მდგომარეობს, რომ 2 პრიზმიდან დანახულ საარჩევნო კოდექსში ცვლილებებს მივცეთ გაერთიანების საშუალება, გვეყოს პოლიტიკური გამბედაობაც, რომ იქ, სადაც შეთანხმებების სივრცე არსებობს, ეს შეთანხმებები მიღწეულ იქნას, - განაცხადა ბეჟუაშვილმა.

„ლელოს“ დეპუტატმა დავით უსუფაშვილმა საპროცედურო საკითხთა კომიტეტის სხდომაზე განაცხადა, რომ მზად არიან საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით პოლიტიკური კონსენსუსისა და შეთანხმებისთვის. მან უმრავლესობის წევრებს შესთავაზა, „ქართული ოცნების“ მიერ ინიცირებულ და პირველი მოსმენით მიღებულ კანონპროექტთან ერთად, ვენეციის კომისიას შეფასებისთვის ოპოზიციის პროექტიც გაეგზავნოს. როგორც უსუფაშვილმა აღნიშნა, ორივე პროექტიდან მხარს დაუჭერენ საკითხებს, რაზეც ვენეციის კომისიას დადებითი დასკვნა ექნება.

- ორივე მხრიდან არის გულწრფელი მცდელობა იმისა, რომ ევროკომისიის 12 რეკომენდაციიდან ერთ-ერთი - საარჩევნო საკითხების მოგვარება - რაც შეიძლება მაღალ დონეზე შესრულდეს. საარჩევნო თემები ყველა ქვეყანაში პოლიტიკური კონსენსუსის შედეგია. ჩვენი წინადადებაა, რომ ვენეციის კომისიამ ორივე პროექტი განიხილოს და რა საკითხზეც დადებითი დასკვნა ექნება, ჩვენს პროექტში მხოლოდ იმ საკითხს დავტოვებთ. ასევე, ხმას მივცემთ უმრავლესობის პროექტში საკითხებს, რასაც ვენეციის კომისიის პოზიტიური დასკვნა ექნება. ჩვენი პოლიტიკური ამოცანაა, საბოლოოდ მივიღოთ „საარჩევნო კოდექსში“ შესატანი ცვლილებები, რომელსაც მაქსიმალურად მაღალი მხარდაჭერა ექნება, - განაცხადა უსუფაშვილმა...

საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტის თავმჯდომარის ირაკლი ქადაგიშვილის თქმით, „საარჩევნო კოდექსში“ ცვლილების შეტანის შესახებ კანონპროექტი პარლამენტში პირველი მოსმენით მიღებულია და ის გაგზავნილია როგორც ვენეციის კომისიაში, ასევე, ეუთო/ოდირში შესაბამისი შეფასებების და რეკომენდაციების მისაღებად, ამ დროს კი ხდება სხვა კანონპროექტის ინიცირება, რაც ქმნის კოლიზიას. ამის მიუხედავად, მათ კანონპროექტის ინიცირებას ხელი არ შეუშალეს.

- ჩვენ ხელი არ შევუშალეთ ამ კანონპროექტის ინიცირებას და გამოვიტანეთ კომიტეტზე განსახილველად. შესაძლოა, ეს ორი დოკუმენტი ბევრ საკითხში ფარავს ერთმანეთს, შეიძლება რაღაც დებულებები ემთხვეოდეს კიდეც, ან რაღაცაში იყოს მცირედი განსხვავება, სხვადასხვანაირი მიდგომა, მაგრამ ვფიქრობ, რომ რადგან იურიდიული კომიტეტია წამყვანი ამ საკითხზე, შესაბამისად, გარკვეულ საკითხებზე და დებულებებზე საბოლოო დისკუსია და სიღრმისეული განხილვა იქ გაიმართება, - განაცხადა ირაკლი ქადაგიშვილმა სხდომაზე.

განხილვის დასრულების შემდეგ კომიტეტის დასკვნაში აისახა, რომ „საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ ცვლილების შეტანის შესახებ“ და მისგან გამომდინარე „საქართველოს პარლამენტის რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ პროექტებით გათვალისწინებული ცვლილებების განხორციელება კომიტეტს მიზანშეწონილად არ მიაჩნია და შესაბამისად მხარს არ უჭერს ამ კანონპროექტებს.

„სტრატეგია აღმაშენებელის“ ლიდერი გიორგი ვაშაძე მიიჩნევს, რომ ხელისუფლება ევროკომისიის რეკომენდაციებს გამიზნულად არ ასრულებს. როგორც მან გუშინ განაცხადა, საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით რეგისტრირებული კანონი წინააღმდეგობაშია ყველა იმ რეკომენდაციასთან, რომელიც ქვეყანას განესაზღვრა. მეტიც, მისივე თქმით, „ქართული ოცნება“ 12 პუნქტის შესასრულებლად არაფერს აკეთებს და აგროვებს არგუმენტებს, რათა უარი მოვიდეს ევროკავშირიდან.

- ძირითად საკითხებს შორისაა მართლმსაჯულების რეფორმა, თუმცა კანონი, რომელიც რეგისტრირებულია პარლამენტში, წინააღმდეგობაშია ყველა იმ რეკომენდაციასთან, რომელიც განგვისაზღვრეს. იგივე ხდება საარჩევნო რეფორმაზე - რეგისტრირებული კანონი არ ითვალისწინებს და წინააღმდეგობაშია იმასთან, რაც ევროპელმა პარტნიორებმა გვითხრეს. დეოლიგარქიზაციის კანონი პირდაპირ წინააღმდეგობაშია იმასთან, რასაც პარტნიორები გვეუბნებოდნენ და არანაირი რეკომენდაციის შესრულებას არ ითვალისწინებს, - აღნიშნა ვაშაძემ. მისივე განცხადებით, სამუშაო ჯგუფები, სადაც მათ მონაწილეობა არ მიიღეს, მხოლოდ ფარსი იყო და „ქართული ოცნება“ ყველაფერს აკეთებს, რომ ქვეყანამ ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი არ მიიღოს.

„სტრატეგია აღმაშენებელის“ ლიდერის განცხადებას გუშინვე გამოეხმაურა პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე ანრი ოხანაშვილი. როგორც მან აღნიშნა, მმართველი გუნდი იმ მდგომარეობაში არ არის, ვინმე ბრალდებებს უყენებდეს და „ე.წ. ვითომ ბრალდებაზე“ პასუხის გაცემა სჭირდებოდეს. ოხანაშვილის თქმით, რადიკალურმა ოპოზიციამ უნდა აუხსნას საზოგადოებას და პარტნიორებს, რატომ გამოუცხადეს საბოტაჟი 12-პუნქტიან გეგმაზე მუშაობას.

- თავის მართლების რეჟიმში ეს ადამიანები უნდა იყვნენ. რადიკალურმა ოპოზიციურმა ჯგუფებმა, რომლებმაც, სამწუხაროდ, დესტრუქციის გზა აირჩიეს, უნდა აუხსნან ჩვენს საზოგადოებასა და პარტნიორებს, რატომ გამოუცხადეს საბოტაჟი 12-პუნქტიან გეგმაზე მუშაობას. ჩვენ მათთვის საპასუხო არაფერი გვაქვს. მათ უნდა ახსნან, რატომ არ ერთვებოდნენ სამუშაო ჯგუფების მუშაობაში, რატომ დააიგნორეს და უგულებელყვეს მოწოდებები უმაღლესი ტრიბუნიდან, რომ ჩართულიყვნენ სამუშაო ჯგუფებში. კეთილი ინებონ და ეს აუხსნან ჩვენს საზოგადოებასა და პარტნიორებს, -აღნიშნა ანრი ოხანაშვილმა.

აღსანიშნავია, რომ პარლამენტის თავმჯდომარე გიორგი პაპუაშვილმა ვენეციის კომისიასა და ეუთო/ოდირს ამ დღეებში წერილი გაუგზავნა, რომელსაც თან ერთვის აღნიშნული ცვლილებები და საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის დასკვნა.

„საარჩევნო კოდექსის გადასინჯვის სამუშაო ჯგუფი, რომელიც იურიდიულ საკითხთა კომიტეტში შეიქმნა, შედგებოდა საპარლამენტო პოლიტიკური ჯგუფების წევრებისგან, ასევე, ცენტრალური საარჩევნო კომისიის, სახელმწიფო აუდიტის სამსახურისა და სამოქალაქო ორგანიზაციების წარმომადგენლებისგან. სამუშაო ჯგუფმა შეიმუშავა საარჩევნო კოდექსში შესატანი ცვლილებები, რომლებიც ითვალისწინებს როგორც ახალ ინიციატივებს, ისე ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის, ვენეციის კომისიისა და ევროპის საბჭოს ანტიკორუფციული ორგანოს - GRECO-ს მიერ გაცემულ რეკომენდაციებს. იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა განიხილა ცვლილებები, პარლამენტმა კი იგი 5 ოქტომბერს პირველი მოსმენით, მრავალპარტიული მხარდაჭერით მიიღო. საპარლამენტო განრიგის მიხედვით, ცვლილებების მესამე მოსმენით მიღება 13 დეკემბერს იგეგმება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მსურს, მოგმართოთ თხოვნით, რომ შეიმუშაოთ ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისისა და ვენეციის კომისიის ერთობლივი დაჩქარებული მოსაზრება ინიცირებული ცვლილებების თაობაზე“, - აღნიშნულია პარლამენტის თავმჯდომარის წერილში.

გვერდი მოამზადა
ია შველიძემ

> ***„ორივე მხრიდან არის გულწრფელი მცდელობა იმისა, რომ ევროკომისიის 12 რეკომენდაციიდან ერთ-ერთი - საარჩევნო საკითხების მოგვარება - რაც შეიძლება მაღალ დონეზე შესრულდეს. საარჩევნო თემები ყველა ქვეყანაში პოლიტიკური კონსენსუსის შედეგია. ჩვენი წინადადებაა, რომ ვენეციის კომისიამ ორივე პროექტი განიხილოს და რა საკითხზეც დადებითი დასკვნა ექნება, ჩვენს პროექტში მხოლოდ იმ საკითხს დავტოვებთ***

უცხოეთი

ნატოს თავდაცვის მინისტრები დღეს და ხვალ ჩვენი უსაფრთხოებისთვის გადამწყვეტ მომენტში იკრიბებიან, ბოლო კვირების განმავლობაში ჩვენ ვნახეთ ომის ყველაზე სერიოზული ესკალაცია თებერვლის შეჭრის შემდეგ, - ამის ნატოს გენერალურმა მდივანმა იენს სტოლტენბერგმა გუშინ მინისტერიალის დაწყებამდე განაცხადა. მისივე თქმით, რუსეთი ახორციელებს ათობით ათასი სამხედროს მობილიზებას. „ისინი ცდილობენ უკრაინის ახალი მიწების უკანონო ანექსიას და ჩვენ ვიხილეთ უკრაინულ ქალაქებზე განურჩეველი დარტყმა. რა თქმა უნდა, ჩვენ ასევე მოვისმინეთ შენიღბული ბირთვული მუქარა მოსკოვიდან. დღეს ჩვენ შევხვდებით უკრაინის თავდაცვის მინისტრ რეზნიკოვს. გზავნილი ნატო-ს მოკავშირეებისგან იქნება ის, რომ ჩვენი მხარდაჭერა უკრაინის მიმართ მტკიცეა და მხარს დავუჭერთ მათ იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იქნება“, - განაცხადა სტოლტენბერგმა.

* * *

რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი „რაციონალური აქტორია“, თუმცა უკრაინაში შეჭრასთან დაკავშირებით მან არასწორად გათვალა, - განაცხადა აშშ-ის პრეზიდენტმა ჯო ბაიდენმა. მისი განმარტებით, პუტინს არასწორად სჯეროდა, რომ უკრაინელები დაემორჩილებოდნენ რუსეთის შეჭრას. ამასთან, აშშ-ის პრეზიდენტს მიაჩნია, რომ ვლადიმერ პუტინი ბირთვულ ტაქტიკურ იარაღს არ გამოიყენებს. კითხვაზე, ხომ არ დაავალა პენტაგონსა და სხვა უწყებებს, განესაზღვრათ, როგორი იქნება პასუხი, თუ რუსეთი ტაქტიკურ ბირთვულ იარაღს გამოიყენებს, ან ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურს დაბომბავს, ბაიდენმა უპასუხა, რომ მისი მხრიდან უპასუხისმგებლო იქნება საუბარი იმაზე, თუ რას გააკეთებდნენ ასეთ შემთხვევაში.

* * *

რუსეთი მზად არის, ევროპას ენერგორესურსები მიაწოდოს, მათ შორის ამ შემოდგომასა და ზამთარში, - ამის შესახებ რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა. მისი თქმით, ამის გაკეთება შესაძლებელია ჩრდილოეთ ნაკადის გადარჩენილი ხაზით. „რუსეთი მზად არის ამ მიწოდების დასაწყებად. ბურთი, როგორც ამბობენ, ევროკავშირის მხარესაა, თუ სურთ, უბრალოდ მოუშვან ონკანი, ჩვენ არავის ვზღუდავთ“, - განაცხადა პუტინმა. მისივე თქმით, „ჩრდილოეთის ნაკადი 1“ და „ჩრდილოეთის ნაკადი 2“ გაზსადენებზე აფეთქებები საერთაშორისო ტერორიზმის აქტია, რომლის მიზანი მთელი კონტინენტის ენერგეტიკული უსაფრთხოების შერყევაა. კრემლის ლიდერმა აღნიშნა, რომ მოსკოვს შეუძლია გაზის ტრანზიტი „ჩრდილოეთის ნაკადის“ მილსადენებიდან შავი ზღვისკენ გადაამისამართოს და თურქეთში ევროპული გაზის მთავარი კერა შექმნას, თუ, რა თქმა უნდა, პარტნიორები დაინტერესდებიან.

* * *

უნგრეთის საგარეო საქმეთა მინისტრი პიტერ სიიარტო მოსკოვში ვიზიტს გეგმავს. „ამ კვირაში მე წავალ მოსკოვში, რათა ვისაუბრო, სხვა საკითხებთან ერთად, მშვიდობის მნიშვნელობაზე და ვთქვა, რომ უნგრელებს მშვიდობა სურთ და რაც შეიძლება მალე. ასევე, მე იმისთვის მივდივარ, რომ უნგრეთს ენერგომომარაგების პრობლემა არ შეექმნას,“ - აღნიშნა სიიარტომ. მისი აზრით, ყველას, ვინც მის მოსკოვში ვიზიტს აკრიტიკებს, „მშვიდობა არ უნდა“.

სამყარო, რომელსაც „სოროპტიმისტ ინტერნაციონალი“ ჰქვია

კლუბი „ბათუმი“ 30 წლისაა

მანანა ძიძიშვილი 598 24 94 97

საქართველოს ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია „სოროპტიმისტ ინტერნაციონალის“ კლუბ „ბათუმს“ 30 წელი შეუსრულდა. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, აჭარის მწერალთა სახლში ჩვენი კუთხის გამორჩეული საზოგადოება შეიკრიბა

აქვე გაიმართა კლუბის დამფუძნებლის, ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, საპატიო ბათუმელის, საპატიო სოხუმელის, აკაკი წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატის, სოროპტიმისტთა ევროპის ფედერაციის გუვერნიორის, ექვსი წიგნის ავტორის, დამსახურებული მოღვაწის, პროფესორ ნათელა დუმბაძის წიგნის „ევროპული მომავლის იმედით“ წარდგენა.

ქალბატონმა ნათელამ მოკლედ მიმოიხილა ორგანიზაციის მიზნები, ამოცანები, გაიხსენა კლუბის საქართველოში დაარსებასთან დაკავშირებული წლები.

„სოროპტიმისტ ინტერნაციონალი“ ქალთა საერთაშორისო გაერთიანებაა, რომელიც 1921 წელს პირველი კლუბის სახით გაიხსნა კალიფორნიის შტატის ქალაქ ოკლენდში. ევროპაში პირველი კლუბი პარიზში დაფუძნდა 1924 წელს, დღეს კი, მსოფლიოს მასშტაბით, დედამიწის ხუთივე კონტინგენტის 126 ქვეყანაში სოროპტიმისტთა ერთეულ კლუბებში, კავშირებსა და ფედერაციაში ასიათასობით რჩეული ქალბატონია გაერთიანებული. „სოროპტიმისტ ინტერნაციონალი“ ოთხი ფედერაციისაგან - ამერიკის, ინგლისი-ირლანდიის, ევროპისა და აზია-ოკეანეთის ქვეყნების ფედერაციებისგან შედგება. ორგანიზაციას გააჩნია თავისი დროშა, ემბლემა, ჰიმნი... მისი საქმიანობა მსოფლიოს ქალთა პრობლემებს მოიცავს. მთავარი იდეაა გააღრმავოს და განამტკიცოს ხალხთა შორის მეგობრობა, მხარში ამოუდგეს განვითარებად ქვეყნებს, დაიცვას ქალთა ინტერესები, იზრუნოს განათლების, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური საკითხების მოგვარებაზე... თავისი საქმიანობით ამ ორგანიზაციამ მაღალი ავტორიტეტი შეიქმნა. სწორედ ამის გამოა, რომ იგი გაეროს, ასევე, იუნესკოს საერთაშორისო სამართლის, ეკონომიკისა და სოციალური საკითხების (ECOSOS) სრულუფლებიანი წევრია.

1991 წელს, როცა საქართველო საბჭოთა კავშირს გამოეყო, ჩვენი ქალბატონების, ამ ორგანიზაციის დამფუძნებლების განცხადების საფუძველზე „სოროპტიმისტ ინტერნაციონალის“ მე-15 კონვენციამ (1991 წლის 26 ივლისი), რომელიც ინგლისის ქალაქ ნოტინჰემში ტარდებოდა, გაიზიარა ქართველი ქალბატონების თხოვნა - მაშინ მეთხუთმეტე კონვენციამ პირველმა აღიარა საქართველო დამოუკიდებელ ქვეყნად და კლუბი „ბათუმი“ რეგისტრაციაში გაატარა. ეს გადაწყვეტილება ოფიციალურად შეატყობინეს ქვეყნის მაშინდელ პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას, რომელმაც თბილისში მიიწვია კლუბ „ბათუმის“ პირველი პრეზიდენტი ნათელა დუმბაძე, წევრები - რენა სარიშვილი, ჩიტო ომერაძე... შეხვედრას ესწრებოდნენ კლუბ „ბათუმის“ სპონსორი, თურქეთის ქალაქ სტამბოლის კლუბ „მოდას“ ექსპრეზიდენტი ფიგენ ტუზლალი, ამავე კლუბის წარმომადგენელი ნეჯიბე ჰევანდოღლუ.

მწერალთა სახლში საიუბილეო შეხვედრაზე ნათელა დუმბაძემ შეკრებილთ გააცნო სოროპტიმისტ ქალთა ორგანიზაციის საქმიანობა.

- ჩვენი გზა ყოველთვის იყო და იქნება ევროპული და ეს საქმითაც კარგად ჩანს. ორგანიზაციაში ყოველ ორ წელიწადში იცვლება პრეზიდენტი, მაგრამ მისი მიმართულება არ იცვლება. ყველაზე საინტერესო კი ისაა, რომ თითოეული ჩვენგანი (ყოფილი და ახალი პრეზიდენტები) ერთმანეთთან ვმეგობრობთ, ვუზიარებთ იდეებს, შთაბეჭდილებებს. ნეტავ, დადგეს საქართველოში დრო, რომ საქართველოს პრეზიდენტებიც ასე ულოცავდნენ ერთმანეთს არჩევასაც და გასავლელ გზასაც. როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა და დადგა საკითხი, საქართველო საითკენ უნდა წასულიყო, კურსი ევროპისკენ დაისახა. ამას დღესაც ალტერნატივა არ გააჩნია. ამიტომ გადავწყვიტეთ, შევსულიყავით ქალთა საერთაშორისო ორგანიზაციაში, მაგრამ მაშინ ეს არ იყო ადვილი, - აღნიშნა ქალბატონმა ნათელამ.

კლუბ „ბათუმს“ ამ 30 წლის განმავლობაში სხვადასხვა პროფესიის ქალბატონები ხელმძღვანელობდნენ, ზოგი მათგანი - ორჯერაც, მათ შორის, ნათელა დუმბაძე (პირველი პრეზიდენტი), რენა სარიშვილი, ნონა ბაგრატია, ცისანა რუსიძე, მერი ზოიძე, თალიკო ბოლქვაძე, იზო ფოფხაძე, ლალი ანდღულაძე, დოდო ფაღავა, ჩიტო ომერაძე, ნანა საყვარელიძე, გულნარა ბასილაძე, ნერიმან ცინცაძე, მაია სურმანიძე და სულ ახლახან არჩეული - ადა ქუთელია, რომელიც 2024 წლის ჩათვლით იქნება მისი პრეზიდენტი.

> ***„ამ ქალბატონებმა საქართველოში ახალი ორგანიზაციის დასაფუძნებლად ყველა პრობლემის გადაჭრა მოახერხეს და, როგორც ზვიად გამსახურდიამ მათ უწოდა, ისინი ევროპის გზაზე მიმავალი „პირველი მერცხლები“ გახდნენ***

ამ ქალბატონებმა საქართველოში ახალი ორგანიზაციის დასაფუძნებლად ყველა პრობლემის გადაჭრა მოახერხეს და, როგორც ზვიად გამსახურდიამ მათ უწოდა, ისინი ევროპის გზაზე მიმავალი „პირველი მერცხლები“ გახდნენ.

შეხვედრაზე აღინიშნა, რომ სამომავლოდ სურთ, ეს საიუბილეო თარიღი უფრო ფართო მასშტაბით აღნიშნონ. ქალბატონმა ნათელამ მადლობა გადაუხადა ყველას, ვინც ამ 30 წლის განმავლობაში მათ მხარში ედგა, რომელთა შორისაა გაზეთი „აჭარა“. აღსანიშნავია, რომ ამჟამად საქართველოს სხვადასხვა რეგიონში არაერთი კლუბი მოქმედებს, მათ დაფუძნებაში ევროპის კლუბების პრეზიდენტები მონაწილეობდნენ.

კლუბ „ბათუმის“ ერთ-ერთ მნიშვნელოვანი პროექტია „ქართულ-აფხაზური საგა“, რომელიც ჩვენი უწმინდესისა და უნეტარესის, საქართველოს პატრიარქის ილია მეორის ლოცვა-კურთხევით ხორციელდება. ნათელა დუმბაძემ მადლობა გადაუხადა მწერალ ანზორ კუდბას, „ქართულ-აფხაზური საგას“ პროექტში გამორჩეული ჩართულობისთვის, ადგილობრივ აფხაზ მოსახლეობას - აქტიური მონაწილეობისთვის. დიდია მათი როლი ამ პროექტის განხორციელებაში.

რაც შეეხება წიგნს, რომლის მომზადებაში მთელი ჯგუფი იყო ჩართული, ძალიან საინტერესოა. ავტორმა, სარედაქციო კოლეგიის თავმჯდომარე ნათელა დუმბაძემ ისაუბრა წიგნის გამოცემასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

„ქალთა საერთაშორისო ორგანიზაცია“ სოროპტიმისტ ინტერნაციონალის“ ჩვენს ქვეყანაში დაფუძნებიდან ოცდაათი წლის განმავლობაში მოგროვებული მასალა ჩემი ცხოვრების მთავარ შინაარსად იქცა, შთაგონების წყაროდ და გამიჩნდა სურვილი, იგი სხვებისთვისაც გამეზიარებინა - ჩემი ქართველი თუ უცხოელი მეგობრებისთვის, მეთქვა მათთვის მთავარი სათქმელი, რომ საქართველოში არსებული მრავალი პრობლემის მიუხედავად, ჩვენ პირველი კვალი გავიტანეთ და დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში საერთაშორისო ორგანიზაცია „სოროპტიმისტ ინტერნაციონალი“ დავაფუძნეთ“, - აღნიშნავს ავტორი.

წიგნში წაიკითხავთ კლუბ „ბათუმის“ წევრი ქალბატონების ნაყოფიერი საქმიანობის შესახებ სრულყოფილ ინფორმაციას. იგი ვრცელ დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით, სიმართლითა და ობიექტურობით, ქრონოლოგიებით, მიღწეულ წარმატებებს მოკრძალებულად აღნიშნავს. წიგნი ქართულ და ინგლისურ ენებზე საზოგადოებას წარუდგენს იმ საქმიანობის ამსახველ მასალებს, რომელსაც მისი წევრები, მხარდამჭერების დახმარებით, სამი ათეული წლის განმავლობაში ახორციელებდნენ. მასში განსაკუთრებული ადგილი ეთმობა სახალხო დიპლომატიით, აჭარაში მცხოვრებ აფხაზთა აქტიური ჩართულობით, ილია მეორის ლოცვა-კურთხევით, ქართველთა და აფხაზთა დროებითი გაუცხოების დაძლევისა და საქართველოს გამთლიანების თანამიმდევრული ღონისძიებების გატარებას, რაც გულისხმობს საბოლოო შედეგის მიღწევას.

წიგნში წაიკითხავთ არაერთი ადამიანის მოლოცვას, ლექსსა თუ მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ ინფორმაციას. ყველა მათგანის ჩამოთვლის საშუალებას საგაზეთო ფორმატი არ იძლევა, თუმცა აღვნიშნავ, რომ მათ შორის არიან ფერიდე აცამბა, რამაზ სურმანიძე, გურამ ოდიშარია, ცისანა ანთაძე, ნინო ნიჟარაძე და ბევრი სხვა.

აღსანიშნავია, რომ SI-ის 100 წლისთავისადმი გამოცემულ წიგნში, რომელშიც მსოფლიოს 100 გამორჩეული ქალბატონის გვარსახელი შევიდა, ჩვენი ხუთი ქართველი სოროპტიმისტია, მათ შორის, ნათელა დუმბაძე, რენა სარიშვილი, მერი ხალვაში, ჩიტო ომერაძე, მერი ზოიძე.

- ვარ ამაყი, რომ პატივი მერგო ამ ორი წლის განმავლობაში ვყოფილიყავი კლუბ „ბათუმის“ პრეზიდენტი, რადგან კლუბი გაეროს წევრი ორგანიზაცია გახლავთ და გაეროს კონვენციის მიხედვით, ყოველ ორ წელიწადში იცვლება კლუბის პრეზიდენტი. ძალიან ბევრი რამ გაკეთდა, მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც მინდა აღვნიშნო, არის პროექტი „ქართულ-აფხაზური საგა“, რომელზეც კლუბი 12 წელია რუდუნებით მუშაობს მის დამფუძნებელთან, ქალბატონ ნათელა დუმბაძესთან ერთად. 30 წლის გახდა ჩვენი ორგანიზაცია და ვფიქრობ, არცერთი არასამთავრობო ორგანიზაცია ასე წარმატებით ამდენ ხანს არ საქმიანობს, რა თქმა უნდა, წითელი ჯვრის გამოკლებით. ეს არის რუდუნებით აქამდე მოყვანილი კლუბი. მისი დამფუძნებელები არიან გამორჩეული ქალბატონები, რომლებმაც კლუბი დააფუძნეს მაშინ, როცა ქვეყანაში გაჭირვება იყო, არ იყო წყალი, შუქი, გაზი და... გავიდნენ ევროპის გზაზე, დიდი წვალებით, თავდადებით. კლუბი ნამდვილად შედგა და წლებია ერთად მოვდივართ. ვამაყობ, რომ ჩემი პრეზიდენტობა საიუბილეო თარიღს დაემთხვა. ნათელა დუმბაძე, რენა სარიშვილი, მერი ზოიძე, ჩიტო ომერაძე, მარინა ხანთაძე (ისინი ბევრნი არიან)... ჩვენ ვამაყობთ, რომ თქვენი თანამედროვეები ვართ. მადლობა ყველას, ვინც გვერდით გვედგა. მათ შორის გიორგი ერმაკოვს, რომელიც დღეს აქ გვესწრება, - აღნიშნა მაია სურმანიძემ, რომელიც კლუბის პრეზიდენტის რანგში ბოლოს ხელმძღვანელობდა შეხვედრას. მან თითოეულ იმ ადამიანს გადაუხადა მადლობა, ვინც წლებია გვერდით უდგანან მათ, ამის დასტურად და საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, მადლობის სიგელები და დიპლომები გადასცა. მათ შორის, ეთერ ცირეკიძეს, რუსუდან სალუქვაძეს, ნაირა ჩხარტიშვილს, მარინა ხანთაძეს, ჩიტო ომერაძეს, ნათელა დუმბაძეს, ნანა საყვარელიძეს, ნინო ნიჟარაძეს, რომელმაც კლუბის ლოგო შექმნა, ნინელი გოგიტიძეს, ნათელა დუმბაძეს (ეს მეორე ნათელაა), ლია საგინაძეს, შორენა ლომაძეს...

ქობულეთელების სახელით მათ ლია შაქარიშვილი მიესალმა:

- ვღელავ, აქ საოცარი ქალების კრებულია, რომელთა უმრავლესობა ჩემი მეგობარია. ეს ბედნიერებაა. ეს ის ადამიანები არიან, რომელთაც დიდი როლი ითამაშეს ჩემს კარიერაში. ბედნიერი ვიქნები, თუ ეს ენთუზიაზმი და პასუხისმგებლობა ახალგაზრდებში გაგრძელდება. თუმცა სოროპტიმისტებიც ხომ ახალგაზრდები არიან - სულ რაღაც 30 წლის. მათ წინ კიდევ ბევრი საინტერესო და მნიშვნელოვანი რამ ელოდებათ, რომლითაც გაამდიდრებენ საზოგადოებას. თქვენ მაგალითი ხართ ყველასთვის, ვამაყობთ თქვენით, - თქვა მან.

„სოროპტიმისტ ინტერნაციონალის“ ორგანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მომენტი სანთლების ანთების ცერემონიაა. აქ ორი ფერი დომინირებს - ყვითელი და ცისფერი. სანთლების ანთებას თავისი ლამაზი ტრადიცია აქვს. პირველი სანთელი აანთო კლუბის ახლანდელმა (აწ უკვე ყოფილმა პრეზიდენტმა) მაია სურმანიძემ, მეორე - ვიცე-პრეზიდენტმა რენა სარიშვილმა, მესამე - მომავალმა პრეზიდენტმა ადა ქუთელიამ, ნათელა დუმბაძემ და.... დანარჩენი სანთლები აანთეს მხარდამჭერებმა და ახლობლებმა. შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გარდაცვლილების ხსოვნას.

ცისანა ანთაძემ წაიკითხა სოროპტიმისტებისადმი მიძღვნილი ლექსი.

- საქართველოს ისტორიაში ჩვენმა გუნდმა დატოვა გაკეთებული ქართული საქმე, ეს საქმე კი - კულტურა, ცნობიერება ევროპასთანაა იდენტური. წიგნი ქართულ-ინგლისურენოვანია - ჩვენს გაკეთებულ საქმეს არამხოლოდ საქართველოში გაეცნობიან. რაც შეეხება ჟიული შარტავას წიგნს, რომელიც ჩვენმა ორგანიზაციამ მოამზადა და გამოსცა, თამამად ვიტყვი, იმსახურებს სახელმწიფო პრემიას. მასში არის აჭარაში მცხოვრები მისი მეგობრების, თანამებრძოლების მოგონებანი. ის იყო საქართველოს ჭეშმარიტი ლიდერი, ეროვნული გმირი. წიგნის რედაქტორი ცისანა ანთაძე გახლავთ. ჩვენმა კლუბმა ჟიული შარტავას დაბადების დღე ორჯერ აღნიშნა. 2024-ში მისი 80 წლის იუბილე სრულდება და იმედი მაქვს, მას საზოგადოება, როგორც ჟიული შარტავას ეკადრება, ისე, მაღალ დონეზე აღნიშნავს. რაც შეეხება ნათელა დუმბაძის წიგნს, გარკვეულწილად, პანდემია „დაგვეხმარა“ წიგნის გამოცემაში. ავტორმა ყველაფერი გააკეთა, რომ იგი ასეთი მაღალი შინაარსის ყოფილიყო. მადლობა ეკუთვნის ბევრ ადამიანს, მათ შორის, დავით თედორაძეს, ლალი კონცელიძეს, ასლან ფაღავას, მაია ჯაფარიძეს, თითოეულ მუშაკს, სტამბის წარმომადგენელ მანანა ფუტკარაძეს, - თქვა ჩიტო ომერაძემ.

- სასიხარულოა, საერთაშორისო ორგანიზაციის „სოროპტიმისტ ინტერნაციონალის“ საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით გამოცემულ სპეციალურ წიგნში, მსოფლიოს ას საუკეთესო სოროპტიმისტს შორის (ამ ორგანიზაციაში 75 ათასი ქალია გაერთიანებული და აქედან 2000 ქალი იყო წარდგენილი ამ წიგნისთვის) ხუთი ბათუმელი სოროპტიმისტი შეიყვანეს. ეს ის ქალბატონები არიან, რომელთაც დიდი წვლილი მიუძღვით ამ ორგანიზაციის განვითარებაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ჩვენ კლუბს დიდი საერთაშორისო აღიარება აქვს, მაგრამ დიდი მნიშვნელობა აქვს მის გაფართოებასაც - ძველ და ახალ თაობას შორის მჭიდრო კავშირს. ეს იყო და არის არასამთავრობო, არაპოლიტიკური ორგანიზაცია და სასიხარულოა, რომ არაერთი ახალგაზრდა ჩაერთო მის მუშაობაში, - თქვა ნერიმან ცინცაძემ.

იხ. მე-7 გვ.

ლაშა ბაქრაძე: ჩვენ გვყავს საერთო მტერი, ამიტომ უკრაინის ომი საქართველოს ომიცაა

ნანა აბულაძე 577 20 35 90

გაზეთ „აჭარის“ სტუმარი ლიტერატურის მუზეუმის დირექტორი, ისტორიკოსი, ლიტერატურისმცოდნე ***ლაშა ბაქრაძეა,*** *რომელიც ბათუმში ოდესის ლიტერატურის საერთაშორისო ფესტივალზე იმყოფებოდა. მან ჩვენთან უკრაინაში მიმდინარე ომზე, რუსეთის აგრესიასა და ამ კუთხით საქართველოში არსებულ გამოწვევებზე ისაუბრა, ყურადღება გაამახვილა ლიტერატურის როლზეც, რომელიც მისივე განმარტებით, ყველა დროსა და ვითარებაში მნიშვნელოვანია.*

- ფესტივალზე თქვენს გამოსვლაში აღნიშნეთ, რომ უკრაინის ომი საქართველოს ომიცაა.

- მნიშვნელოვანია, რომ საფესტივალო ადგილად ორგანიზატორებმა საქართველო და, კონკრეტულად, ბათუმი აირჩიეს. აქედან ჩანს, რომ უკრაინელებისთვის ჩვენი ქვეყანა ძალიან მნიშვნელოვანია და ისინი კარგად ხედავენ, რომ ჩვენი ბედი გადაჯაჭვულია. რასაკვირველია, ომი, რომელიც უკრაინაში მიმდინარეობს და რომელშიც უკრაინელი ხალხის სისხლი იღვრება, ჩვენიცაა, რადგან ჩვენ გვყავს საერთო მტერი და როდესაც მტერი არსებობს, ხმამაღლა, ყველას გასაგონად უნდა ვთქვათ, რომ მტერია და არ დავმალოთ, არ ვაქიცინოთ კუდი. რასაკვირველია, ეს ქვეყანა, რომელმაც დაიპყრო ჩვენი ტერიტორიის დიდი ნაწილი, მთავარი პრობლემაა საქართველოსათვის. შესაბამისად, ამ ომის შედეგებზეა საქართველოს მომავალიც დამოკიდებული. ვფიქრობ, თავისუფლებისმოყვარე ადამიანები არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოში, ვისაც უნდა თანასწორობა ქვეყნებს შორის, არ შეიძლება დიდი სიმპათიით არ იყვნენ განმსჭვალული უკრაინის, უკრაინელი ხალხის, სახელმწიფოს მიმართ, რომელმაც დიდი ტვირთი აიღო თავზე და მსოფლიოს დაანახა, რომ რუსეთი არ არის ისეთი ძლიერი, როგორიც ბევრს ეგონა და რომ მისი დამარცხება შესაძლებელია, წინააღმდეგობა უნდა გაუწიო და ეგრევე არ ჩაბარდე. ადამიანები, რომლებსაც არანაირი მორალური საყრდენი არ აქვთ, ომის დასაწყისშივე ამბობდნენ, რომ უკრაინელებს არავითარი შანსი არ ჰქონდათ, სამ დღეში დამარცხდებოდნენ და ასე შემდეგ, მაგრამ დავინახეთ, რომ თუ ადამიანებს უნდათ თავისუფლებისათვის ბრძოლა და სწამთ თავიანთი ქვეყნის, მათ შეუძლიათ ეს ძალიან კარგად გააკეთონ. უკრაინელი ერის ეს გმირული ბრძოლა ჩვენთვის და ყველასთვის სამაგალითოა.

- რა თქმა უნდა, ვერავინ ვიწინასწარმეტყველებთ, რა მოხდება ხვალ, როგორ განვითარდება უკრაინაში მოვლენები, მაგრამ გვითხარით, როგორია თქვენი მოლოდინი?

- დარწმუნებული ვარ, უკრაინელებს უნდათ, სრულად გაათავისუფლონ ის ტერიტორია, რომელიც დაპყრობილია რუსეთის მიერ და ეს აუცილებლად მოხდება. ვფიქრობ, და იმედი მაქვს, ეს ომი კატასტროფით დამთავრდება რუსეთისათვის, რუსი ხალხისათვის და რასაკვირველია, პუტინისათვის. დარწმუნებული ვარ, პუტინს მისივე გარემოცვა „ჩამოკიდებს“ და რუსეთს ექნება შანსი, რომ მისგან ოდესმე მაინც გამოვიდეს ნორმალური ქვეყანა და არ დარჩეს იმპერიალიზმში ჩარჩენილ ქვეყნად, რომელსაც დღეს წარმოადგენს. რუსეთში დაიწყო რყევა იმ ადამიანებისთვის, ქვეყნებისთვის, რომლებსაც ჰგონიათ, რომ რუსეთის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. მათთვის, ჩემი ღრმა რწმენით, ძალიან დიდი გაკვეთილი იქნება მარცხი, რომელსაც რუსეთი აუცილებლად იწვნევს.

- ალბათ, არიან ადამიანები, რომლებიც ამბობენ - „რა დროს ფესტივალია?“, „რა დროს ლიტერატურაა, როცა ომია?“... რას უპასუხებთ მათ?

- ვფიქრობ, კულტურა ძალიან დიდ როლს თამაშობს იმაში, რომ ადამიანებმა კიდევ უფრო სხვანაირად, სხვა ემოციურ დონეზე განიცადონ ესა თუ ის მოვლენა. დარწმუნებული ვარ, რომ ლიტერატურაშიც, მთლიანად კულტურაში ბევრ რამეს შეცვლის ეს ომი. ოდესის ლიტერატურულ ფესტივალზე მქონდა საუბარი იმის შესახებ, თუ რა არის სიმართლე. ძალიან ძნელია ხოლმე შავ-თეთრი სურათის დანახვა. ვფიქრობ, ადამიანს ყოველთვის რაღაცეებში ეჭვი უნდა ეპარებოდეს კიდეც და ეძებდეს სიმართლეს, და აი, ამ სიმართლის ძიებაში ეს ომი დიდ როლს ითამაშებს. უდავოდ, ომის დროსაც მნიშვნელოვანია ლიტერატურა, ასე იყო მეორე მსოფლიო ომის დროსაც და სხვა დიდი ომების დროსაც. მნიშვნელოვანია, როგორ აღიქვამს და აღწერს ამ ყველაფერს ხელოვანი, მწერალი, როგორ გადახარშავს და მიაწვდის სათქმელს ადამიანებს იმისათვის, რომ მათ ესა თუ ის მოვლენა კიდევ უფრო უკეთესად გაიგონ, გაიაზრონ და გაითავისონ. თუნდაც რუსეთში დიდი მნიშვნელობა ექნება ნამდვილ, ჭეშმარიტ, არადაქირავებულ ხელოვანებს, მწერლებს, მათ აზრს იმისათვის, რომ რუსეთში მოისპოს იმპერიალისტური აზროვნება და მიხვდნენ, რომ იმპერიალიზმით ვეღარ გავლენ ფონს, თუ რუსეთისგან ნორმალური ქვეყანა არ ჩამოყალიბდება. რუსმა მწერლებმა, პოეტებმა, ხელოვანებმა უნდა ისაუბრონ იმ დანაშაულზე, რაც ჩაიდინა რუსეთმა და განიწმინდონ იმპერიული აზროვნებისაგან, მუდმივი ზიზღის, მუდმივი სიძულვილისაგან გათავისუფლდნენ, დაინახონ ის დიდი შეცდომები, რომლებიც რუსეთმა საუკუნეების განმავლობაში დაუშვა. ვფიქრობ, ძალიან დიდი და მნიშვნელოვანი როლი ეკისრებათ სწორედ მწერლებსა და ზოგადად, ხელოვანებს იმაში, რომ გადავხარშოთ, გავიაზროთ და ახლებურად დავინახოთ ის უკეთესი სამყარო, რომელიც შესაძლებელია შეიქმნას სწორედ მას შემდეგ, რაც რუსეთი დამარცხდება.

> ***„დარწმუნებული ვარ, პუტინს მისივე გარემოცვა „ჩამოკიდებს“ და რუსეთს ექნება შანსი, რომ მისგან ოდესმე მაინც გამოვიდეს ნორმალური ქვეყანა და არ დარჩეს იმპერიალიზმში ჩარჩენილ ქვეყნად, რომელსაც დღეს წარმოადგენს. რუსეთში დაიწყო რყევა იმ ადამიანებისთვის, ქვეყნებისთვის, რომლებსაც ჰგონიათ, რომ რუსეთის გარეშე ცხოვრება წარმოუდგენელია. მათთვის, ჩემი ღრმა რწმენით, ძალიან დიდი გაკვეთილი იქნება მარცხი, რომელსაც რუსეთი აუცილებლად იწვნევს“***

უკრაინა

რუსულმა ძალებმა, გასული დღის განმავლობაში, უკრაინის მასშტაბით 29 რაკეტა გაისროლეს, საიდანაც 20 უკრაინის საჰაერო თავდაცვის დანაყოფებმა ჩამოაგდო, - ამის შესახებ უკრაინის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის ანგარიშშია აღნიშნული. „ოკუპანტებმა გასული დღის განმავლობაში ერთი ბალისტიკური და ოცდარვა ფრთოსანი რაკეტა გაუშვეს, აქედან 20 უკრაინის საჰაერო თავდაცვის ქვედანაყოფებმა ჩამოაგდო. მოწინააღმდეგემ განახორციელა ცამეტი საჰაერო დარტყმა და ორმოცზე მეტი შეტევა - მრავალჯერადი სარაკეტო სისტემებიდან. ამ დანაშაულებრივი ქმედებებით ობიექტები და მშვიდობიანი მოსახლეობა ორმოცზე მეტ დასახლებულ პუნქტში დაზარალდა“, - აცხადებენ გენშტაბში. უწყების ცნობით, მოწინააღმდეგემ გასული დღის განმავლობაში ოდესისა და მიკოლაივის ოლქებში კრიტიკულ ინფრასტრუქტურაზე დარტყმის მიზნით 14 ირანული „კამიკაძე“ დრონი გამოიყენა, აქედან 12 - განადგურდა. გენშტაბში აცხადებენ, რომ უკრაინაში საჰაერო და სარაკეტო დარტყმების საფრთხე კვლავ არსებობს.

* * *

- დნეპროპეტროვსკის საოლქო-სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვალენტინ რეზნიჩენკო იუწყება, რომ რუსულმა ძალებმა ქალაქ ნიკოპოლს 100-ზე მეტი ჭურვი ესროლეს. მისი თქმით, თავდასხმის შედეგად სამი ადამიანი, მათ შორის ბავშვი, მძიმედ დაშავდა. „რუსებმა შვიდჯერ გაუხსნეს ცეცხლი ნიკოპოლს „გრადებისა“ და მძიმე არტილერიის გამოყენებით. მათ 100-ზე მეტი ჭურვი ისროლეს. ერთ-ერთი კერძო სახლს მოხვდა, 6 წლის გოგონა და მისი დედა დაშავდნენ. ისინი კიდევ ერთ დაშავებულთან ერთად საავადმყოფოში მძიმე მდგომარეობაში იმყოფებიან“, - აცხადებს რეზნიჩენკო. მისი თქმით, ქალაქში ოცდაათზე მეტი მაღალსართულიანი შენობა და კერძო სახლი, გაზსადენები, ელექტროგადამცემი ხაზები, ორი საბავშვო ბაღი, სკოლა, მაღაზიები და სხვა შენობები დაზიანდა.

* * *

უკრაინის თავდაცვის მინისტრ ოლექსი რეზნიკოვის განცხადებით, უკრაინამ ამერიკის შეერთებული შტატებისგან დამატებით 4 მაღალი მობილურობის საარტილერიო სარაკეტო სისტემა - HIMARS-ი მიიღო. „ჩვენი ამერიკელი პარტნიორებისგან კიდევ 4 HIMARS-ი ჩამოვიდა! მადლობას ვუხდი ჯო ბაიდენს, ლოიდ ოსტინსა და ამერიკელ ხალხს“, - წერს რეზნიკოვი „ტვიტერზე“. მისი თქმით, მაღალი მობილურობის საარტილერიო სარაკეტო სისტემების მიღება კარგი სიახლეა რამშტეინის ფორმატში დაგეგმილი მე-6 შეხვედრის წინ. „HIMARS-ის დრო კარგი დროა უკრაინელებისთვის და ცუდი დრო - ოკუპანტებისთვის, კარგი სიახლე - რამშტეინის 6-ის წინა დღეს“, - წერს უკრაინის თავდაცვის მინისტრი. ცნობისთვის: HIMARS-ის პირველი პარტია უკრაინამ ივნისის შუა რიცხვებში მიიღო.

* * *

რუსი ოკუპანტები ზაპოროჟიეს კიდევ ერთხელ დაესხნენ თავს, - ინფორმაციას უკრაინული მედია ზაპოროჟიეს საქალაქო საბჭოს მდივან ანატოლი კურტევზე დაყრდნობით ავრცელებს. წინასწარი ინფორმაციით, თავდასხმას მსხვერპლი არ მოჰყოლია. „ოკუპანტები ისევ თავს დაესხნენ ჩვენს ქალაქს. დაბომბვის შედეგად საცხოვრებელი სახლების ფანჯრები და კარები დაზიანდა“, - განაცხადა კურტევმა.

* * *

ზაპოროჟიეს ოლქის ქალაქ ორიხივში რუსული ძალების მიერ განხორციელებული განმეორებითი დაბომბვის შედეგად, რაიონული ელექტროქსელის ორი თანამშრომელი დაიღუპა, ორი კი დაშავდა. ისინი ელექტროგადამცემი ხაზის აღდგენაზე მუშაობდნენ. ინფორმაციას ზაპოროჟიეს საოლქო-სამხედრო ადმინისტრაციის ხელმძღვანელი, ალექსანდრე სტარუხი ავრცელებს. „შემაშფოთებელი ამბებია ქალაქ ორიხივიდან. რაიონული ელექტროქსელის ორი თანამშრომელი - დიმიტრი სტარიჩენკო და რომან მელნიკი დაზიანებული ელექტროგადამცემი ხაზის აღდგენის დროს მტრის მიერ განმეორებითი დაბომბვის შედეგად დაიღუპნენ. მაქსიმ იურჩენკო და დიმიტრი რაბაჯიევი კი დაშავდნენ და საავადმყოფოში გადაიყვანეს“, - წერს სტარუხი. ცნობისთვის: უკრაინის ენერგეტიკის მინისტრის, გერმან გალუშენკოს ინფორმაციით, 10-11 ოქტომბერს რუსეთმა სარაკეტო იერიშები უკრაინის ენერგეტიკული ინფრასტრუქტურის დაახლოებით 30%-ზე განახორციელა.

* * *

აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის განცხადებით, რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი „რაციონალური აქტორია“. მისი განმარტებით, პუტინს არასწორად სჯეროდა, რომ უკრაინელები დაემორჩილებოდნენ რუსეთის შეჭრას - „ეს იყო არასწორი შეფასება, რომლის მცდარობა ქვეყანაში გაწეულმა სასტიკმა წინააღმდეგობამ დაამტკიცა“. „ვფიქრობ, მას ეგონა, რომ ხელგაშლილი დახვდებოდნენ, რომ კიევი იყო „დედა რუსეთის“ სახლი, სადაც მიიღებდნენ. ვფიქრობ, მან, უბრალოდ, არასწორად გათვალა“, - აღნიშნა ბაიდენმა. მისი თქმით, იგი არ ფიქრობს, რომ ვლადიმერ პუტინი ბირთვულ ტაქტიკურ იარაღს გამოიყენებს. „არა მგონია, რომ ის მას გამოიყენებს“, - უპასუხა ბაიდენმა კითხვაზე, გამოიყენებს თუ არა რუსეთის ლიდერი ბირთვულ ტაქტიკურ იარაღს. „ვფიქრობ, უპასუხისმგებლობაა მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი ბირთვული ძალის მფლობელი მსოფლიო ლიდერის მხრიდან იმის თქმა, რომ შესაძლოა ტაქტიკური ბირთვული იარაღი გამოიყენოს უკრაინაში“, - დასძინა ბაიდენმა. მისი განმარტებით, პუტინის მუქარებს დესტაბილიზაციის ეფექტი აქვს. „არ შეიძლება, დაუსჯელად განაგრძოს საუბარი ბირთვული ტაქტიკური იარაღის გამოყენებაზე, თითქოს ეს რაციონალური რამ არის. შეცდომები დაშვებულია და არასწორი გათვლა შეიძლება მოხდეს, არავის შეუძლია დარწმუნებით იცოდეს, რა მოხდება და შეიძლება არმაგედონით დასრულდეს“, - აღნიშნა ბაიდენმა. ბაიდენმა არ დააკონკრეტა, როგორი იქნება აშშ-ის პასუხი, თუ პუტინი შეასრულებს ბირთვულ მუქარას. კითხვაზე, რა არის წითელი ხაზი შეერთებული შტატებისა და ნატოსთვის და ხომ არ დაავალა პენტაგონსა და სხვა უწყებებს, რომ განესაზღვრათ, როგორი იქნება პასუხი, თუ რუსეთი ტაქტიკურ ბირთვულ იარაღს გამოიყენებს ან ზაპოროჟიეს ატომურ ელექტროსადგურს დაბომბავს, ბაიდენმა უპასუხა: „იყო ამაზე მსჯელობა, მაგრამ არ ვაპირებ დეტალებში შესვლას. ჩემი მხრიდან უპასუხისმგებლო იქნება საუბარი იმაზე, თუ რას გავაკეთებდით ან არ გავაკეთებდით“.

მოამზადა
ნაირა ფუტკარაძემ

ევროკავშირის ელჩები შეთანხმდნენ...

რომ საქართველოსა და უკრაინის სეპარატისტულ რეგიონებში გაცემულ რუსულ პასპორტებს არ აღიარებენ და ისინი ვიზის მისაღებად ან შენგენის ზონის საზღვრის გადაკვეთისთვის არ იქნება ვალიდური. ამის შესახებ ევროკავშირის საბჭოს გამოქვეყნებულ პრესრელიზშია ნათქვამი.

კერძოდ, ევროკავშირის ელჩები შეთანხმდნენ, რომ ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე სახელმწიფოს - ჩეხეთს მიენიჭოს მანდატი, აღნიშნული გადაწყვეტილების მიღებაზე ევროპარლამენტთან მოლაპარაკება აწარმოოს.

„ეს გადაწყვეტილება არის პასუხი რუსეთის არაპროვოცირებულ და გაუმართლებელ სამხედრო აგრესიაზე უკრაინის წინააღდეგ და ოკუპირებული რეგიონების მცხოვრებლებისთვის რუსული საერთაშორისო პასპორტების გაცემის პრაქტიკაზე. ეს ასევე მოჰყვება 2008 წლის რუსეთის ცალმხრივ გადაწყვეტილებას, აღიაროს საქართველოს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიების დამოუკიდებლობა.

რუსეთის მიერ უკრაინის ოკუპირებულ რეგიონებში ან საქართველოს სეპარატისტულ ტერიტორიებზე გაცემული რუსული სამგზავრო დოკუმენტები არ მიიღება ვალიდურ საბუთად ვიზის მისაღებად ან შენგენის ზონის საზღვრის გადაკვეთისთვის“, - წერია ევროკავშირის საბჭოს განცხადებაში.

ამირან ბურიელიძე

მოსახლეობასთან შეხვედრები გრძელდება

ბარათაულის ადმინისტრაციული ერთეული სოფლებს ვანს, გომარდულსა და ზემოხევს აერთიანებს. მიგრაციის გამო სოფლის იერსახე დაკარგა წანკალაურმა. შუახევის მუნიციპალიტეტის დანარჩენი სოფლების მსგავსად, აქაც მნიშვნელოვანი პროექტები და პროგრამები ხორციელდება. მოსახლეობის სამსახურშია ვანის, ზემოხევის ახლად აშენებული, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად შეკეთებული გომარდულისა და ბარათაულის საჯარო სკოლების შენობები, ბარათაულის საჯარო სკოლა ყოფილი მოსწავლის, 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში დაღუპული ამირან მამალაძის სახელს ატარებს.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ბიუჯეტიდან მობილიზებული თანხებით ბარათაულის სკოლის შენობის ფასადი შეკეთდა. დამრეც ფერდობზე აგებულ კაპიტალურ შენობას მეწყრულმა პროცესმა საფრთხე შეუქმნა. ამჯერად მისი გამაგრების სამუშაოებს იწყებენ. ვიდრე სოფლიდან მოსულ მოსახლეობის წარმომადგენლებს შეხვდებოდნენ, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე ჯემალ სურმანიძე, შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მერის პირველი მოადგილე მირიან აბაშიძე, საკრებულოს მაჟორიტარი დეპუტატი მურად ქათამაძე, მერის წარმომადგენელი ბარათაულის ადმინისტრაციულ ერთეულში ჯუმბერ ქათამაძე სკოლაში მიმდინარე პროცესებით დაინტერესდნენ. მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სოფლის მსგავსად, ბარათაულში მოსწავლეთა კონტინგენტი საკმაოა. 55 მოსწავლის აღზრდას 18 ადგილობრივი პედაგოგი ემსახურება, მათგან მხოლოდ სამმა ვერ გაიარა სერტიფიცირება, 4-ს წამყვანი მასწავლებლის სტატუსი აქვს. სოფლიდან რამდენიმე მეტრის მოშორებით ბაგა-ბაღის შენობაა. იქაც ნორმალური პირობებია პატარების აღზრდისთვის.

მოსახლეობის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე მოვიდნენ აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე მარი ზანაქიძე, შუახევის საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე ფატი ჭაღალიძე. რეგიონისა და თვითმმართველობის ხელმძღვანელებმა იმ ღონისძიებებზე გადაიტანეს აქცენტი, რაც ამ ეტაპზე ორივე სამინისტროსა და შუახევის მუნიციპალიტეტის მხრიდან მოსახლეობის კეთილდღეობისთვის კეთდება. ითქვა, რომ მთავარი გომარდულის სამთო კურორტის განვითარებაა. ამ მიმართულებით რიგი სამუშაოები გადამწყვეტ ფაზაშია. კურორტზე ორივე მხრიდან მოწესრიგებული საავტომობილო გზა შევიდა. აჭარის მთავრობის ძალისხმევით კურორტს ყადაღა მოეხსნა. ნოემბრის ბოლოდან მეტ დატვირთვას შეიძენს ამჟამად მოქმედი ბაგირგზა და სათხილამურო ტრასები, იგეგმება ბაგირგზის რეკონსტრუქციაც.

სახე იცვალა ბარათაულის ცენტრმა. გაისად გომარდულისა და ვანის ცენტრების კეთილმოწყობა იგეგმება. რიგ ტერიტორიებზე მიმდინარეობს ფერდსამაგრი სამუშაოები.

ადგილობრივმა ნოდარ ტარიელაძემ გულისტკივილით აღნიშნა, რომ შეპირების თანახმად, ბარათაული-ჭვანის საავტომობილო გზაზე ასფალტი უნდა დაგებულიყო, რაც ბეტონის საფარით ჩაანაცვლეს, თანაც ნაჩქარევად გაკეთდა და გზაზე ორმოები ისევ გაჩნდა. შაქრო მამალაძემ წამლების სიძვირეზე ისაუბრა. მას ოჯახში მძიმე ავადმყოფი ჰყავს. ითქვა, რომ გაიაფებული თურქული წამლები მოსახლეობამდე ვერ აღწევს.

გომარდულში, ჭაღალიძეების უბანში მისასვლელი გზის ავარიულობაზე ომარ ჭაღალიძემ მიანიშნა. ამ უბნიდან სასკოლო ავტობუსს გომარდულის საჯარო სკოლაში 8 მოსწავლე გადაჰყავს. გზაზე ტრანსპორტს გადაადგილება უჭირს. მცირეა საცხოვრებელი სახლების, დამატებითი სათავსოების შეკეთება-მშენებლობაზე გამოყოფილი სამასალე მერქანი. მოსახლეობა ფონდის გაზრდას ითხოვს. როსტომ ლორთქიფანიძე ადგილობრივებს ამ მიმართებით მეტ ჩართულობას შეჰპირდა. ითქვა, რომ მერქნის მოხმარების ბილეთები მხოლოდ იმ პიროვნებებზე გაიცემა, რომლებსაც იგი ადგილზე მოხმარებისთვის სჭირდებათ და არა რაიონის ფარგლებს გარეთ გასატანად. შეხვედრაზე ისაუბრეს სოფლის დაცარიელებაზეც.

- აჭარის მთავრობის თავმდომარის ინიციატივით მოსახლეობასთან შეხვედრები ისევ განახლდა. კარგია, როცა მოქალაქეები შეხვედრაზე მოდიან, მოსაზრებებს გვიზიარებენ, პრობლემებს გვაცნობენ და მათი გადაჭრის გზებს ერთად ვპოულობთ. ეს შეხვედრები იმიტომაც იმართება, რომ მოსახლეობის ძირითადი ბირთვი ადგილზე დავამაგროთ, მათ შრომის, ცხოვრების ნორმალური პირობები შევუქმნათ. ის პრობლემები, რომლებიც ადრე გამართულ შეხვედრებზე იყო, აღარ დასმულა, რაც მისასალმებელია. ახლა წამოჭრილ პრობლემებზეც დროული რეაგირება იქნება. შეხვედრის მიზანიც ეს გახლავთ, - თქვა ჯემალ სურმანიძემ.

კურორტი ხულოს უკავშირდება

ხულოს მუნიციპალიტეტის ღორჯომის ხეობის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ზაფხულს კურორტ ბახმაროსთან ახლოს ატარებს

ხულოს მუნიციპალიტეტიდან ბახმაროსთან დამაკავშირებელი საავტომობილო გზა მოუწესრიგებელი იყო. აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი თანხებია მობილიზებული ღორჯომი-ზოტიყელი-ბახმაროს გზის რეკონსტრუქციაზე. სამუშაოები შარშან დაიწყო და რეაბილიტაცია გრძელდება.

ამ ეტაპზე მოწყობილია 10 კილომეტრამდე სიგრძის საავტომობილო გზა და კიდევ 4 კილომეტრზე ბეტონის საფარის მოწყობა მიმდინარეობს.

მიმდინარე სამუშაოებს აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე როლანდ ბოლქვაძე სპეციალისტებთან ერთად ადგილზე გაეცნო.

- სამუშაოების დასრულების შემდეგ მოსახლეობასა და ტურისტებს შესაძლებლობა ექნებათ, ბახმაროს გავლით მთებიდან გოდერძსა და ბეშუმს ეწვიონ, - გვითხრა როლანდ ბოლქვაძემ.

ელექტრომიკროავტობუსი – დაბა ქედის ქუჩებში

ამიერიდან დაბა ქედაში დღის განმავლობაში საზოგადოებრივი ელექტრომიკროავტობუსი ტბელ აბუსერისძის, 9 აპრილის, აღმაშენებლის და რუსთაველის ქუჩის მიმართულებით იმოძრავებს

ენერგოეფექტური მიკროავტობუსი სრულად არის ადაპტირებული შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საჭიროებებზე. იგი საქართველოში იაპონიის საელჩოს ადამიანის უსაფრთხოების გრანტო პროგრამის (GGP) ფარგლებში, ქედის მუნიციპალიტეტის მიერ მოპოვებული გრანტით (77 235 აშშ დოლარი) იქნა შეძენილი.

მიკროავტობუსი შპს „ავტოსატრანსპორტო საწარმოს“ გადაეცა.

- დაბა ქედა ინფრასტრუქტურულად ვითარდება. ახალ ობიექტებში ახალი ოჯახები სახლდებიან, რაც მისასალმებელია. ელექტრომიკროავტობუსი ახალი შენაძენია, იგი ეკოლოგიურადაც საიმედოა, - გვითხრა ქედის მუნიციპალიტეტის მერმა როლანდ ბერიძემ.

მოისმინეს სოფლის პრობლემები

ქედის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე იმედა ვასაძე და აჭარის სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე არჩილ ბერიძე, სოფლად მოსახლეობასთან შეხვედრების ფარგლებში, დანდალოს ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას შეხვდნენ

შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა. მოისმინეს სოფლის პრობლემები, ისაუბრეს მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ინიციატივით სოფლად მოსახლეობასთან შეხვედრები კვლავ გაგრძელდება. მიზანი სოფლად მცხოვრები მოსახლეობის საჭიროებების ადგილზე გაცნობა და მათი გადაჭრის გზებზე ერთობლივი მსჯელობაა.

პროექტი მზადაა

ხულოში, კერძოდ ღორჯომის ხეობაში ცხენი კვლავ რჩება ოჯახისთვის დამხმარე ცხოველად. არიან ისეთი ოჯახებიც, რომლებსაც ორი და მეტი ცხენი ჰყავთ. აჭარის ტურიზმის დეპარტამენტისა და ხულოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობის ინიციატივით, ღორჯომის ხეობაში საცხენოსნო ინფრასტრუქტურის პროექტი მომზადდა

ხეობაში გარემოსთან ადაპტირებული ღია მანეჟის, დახურული თავლის, ამფითეატრის, ადმინისტრაციული ცენტრისა და წრიული საცხენოსნო ბილიკების მოწყობა შემდეგ წელს დაიწყება.

ერთ ჰექტარზე მოწყობილ ღია მანეჟში შესაძლებელი იქნება როგორც მოყვარულების, ისე პროფესიონალების ჯირითი.

გვერდი მოამზადა
ოთარ ცინარიძემ

სამყარო, რომელსაც „სოროპტიმისტ ინტერნაციონალი“ ჰქვია

კლუბი „ბათუმი“ 30 წლისაა

მე-4 გვერდიდან

- მიხარია, რომ ამ დიდი ორგანიზაციის წევრი ვარ. 30 წელი არც დიდი და არც პატარა დროა, რომ ჩვენი საქმიანობა ვერ შევაფასოთ. ვფიქრობ, ამ ორგანიზაციაში გაწევრიანება და საქმიანობა ნამდვილად ღირდა. არ ყოფილა ჩვენი გზები ია-ვარდით მოფენილი. ბევრი დაბრკოლება გადავლახეთ. საზოგადოებას ნამდვილად დაამახსოვრდება ჩვენი ქალბატონების მიერ გაკეთებული ქართული, ეროვნული საქმეები. ამისთვის, პირველ რიგში, კლუბის დამფუძნებლებს ვეუბნები მადლობას, რომლებმაც გზა გაუხსნეს ჩვენს ქალბატონებს ევროპული სტრუქტურებისკენ. წიგნში ყველაფერი - მოვლენა, ღონისძიება, რისთვისაც იბრძოდნენ ჩვენი ქალბატონები, შესანიშნავადაა მოთხრობილი. არ შეიძლება არ ვახსენო მარინა ხანთაძე, რომელიც მყარი ხიდია ჩვენსა და საქართველოს საპატრიარქოს შორის. მისი თანადგომით, ჩვენ რამდენჯერმე მოვახერხეთ უწმინდესთან შეხვედრა, მოვაწყვეთ საყოველთაო ნათლობები, ეს ყველაფერი მისი დამსახურებაა. ბევრი გავაკეთეთ, რომ რეგისტრაციაში გამეტარებინა 3 ათასი კაცი და ბედნიერი ვიყავი, რომ მოდიოდნენ მოსანათლად როგორც ასაკოვანი, ისე ახალგაზრდები. მადლობა ყველას, ვინც ჩვენთან ერთად გაიზიარა ეს დიდი სიხარული, - თქვა მერი ზოიძემ.

- ყველამ კარგად იცის, რა წლები გავიარეთ 90-იანებში და იმ კლუბის მაშინ ჩამოყალიბება ძალიან დიდი საქმე იყო. პირველი ჩვენი გასვლა (მე, ჩიტო ომერაძე, რენა სარიშვილი, ნათელა დუმბაძე) დანიაში იყო იქაური ქალბატონების მიწვევით, ჯემალ ნაკაშიძისა და ჯემალ ჭიღვარიას ხელშეწყობით. დანიელი ქალბატონები, რომლებსაც საერთოდ არ სმენოდათ საქართველოზე, ჩვენს ჩასვლამდე ეძებდნენ სტუდენტს, რომელიც დანიაში სწავლობდა და იპოვეს ოსლოში, რომელმაც გააცნო საქართველო. გაიგეს, რომ საქართველო ღირსეული ქვეყანაა. ერთ-ერთ მუზეუმში ქართულად დაბეჭდილი წიგნი რომ ვნახეთ, კიდევ უფრო ამაყები გავხდით. ბევრი ღონისძიება აქვთ სოროპტიმისტ ქალებს განხორციელებული და ერთ-ერთი მნიშვნელოვანია „ქართულ-აფხაზური საგა“. ქალებმა ავიღეთ ხელში აფხაზებისა და ქართველების დაახლოების საქმე. მე და ანზორ კუდბა ოჯახებში დავდიოდით, გვაინტერესებდა აქაური აფხაზების აზრი... გულით გაკეთებულ საქმეს ყოველთვის აქვს შედეგი. პატრიარქი გახარებული იყო ამ დიდი პროექტით, ასე ვცდილობთ საქართველოს დახმარებას ამ ურთულესი პრობლემის გადაჭრაში, - გვითხრა მერი ზოიძემ.

მანანა სტამბოლიშვილმა, რომელსაც სახლში შესანიშნავი ადამიანის, პროფესორ ფერიდე აცამბას მუზეუმი აქვს მოწყობილი, მადლობა გადაუხადა ყველას, გამორჩეულად - ნერიმან ცინცაძეს მემორიალური დაფისთვის, ფერიდე აცამბასთან მოწყობილი არაერთი შეხვედრისთვის.

- შესანიშნავი წიგნი დაიწერა და როგორც ვაჟა იტყოდა, არა მხოლოდ წარსულისთვის, არამედ მომავლისთვის. ამ წიგნში ისეთი საკითხებია გაშუქებული, რომ დიდ როლს შეასრულებს როგორც ახალგაზრდებისთვის, ისე - ჩვენი ქვეყნისთვის. ყველაფერს, რაც ამ კლუბმა გააკეთა, ვერ ჩამოთვლი. მათ სერიოზული და მნიშვნელოვანი საქმე წამოიწყეს, რომელშიც ჩაერთნენ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, აფხაზეთის მეცნიერებათა ეროვნული აკადემია, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი. არაერთი ღონისძიება გაიმართა და ყოველთვის ლიდერი იყო სოროპტიმისტთა კლუბი, რომელმაც მართლაც ბევრი კარგი საქმე გააკეთა. მათ შორის, განსაკუთრებულია აფხაზი და ქართველი ხალხების შერიგებისთვის წამოწყებული პროექტი. სასიხარულოა, რომ აფხაზეთშიც კარგად იციან ამ კლუბის საქმიანობის შესახებ. არ ვიცი, საქართველოს გამთლიანებისა და შერიგების საქმეს საბოლოოდ ვინ მოაგვარებს, მაგრამ ვიცი, რომ კლუბის საქმიანობა ამ საჭირბოროტო საქმეში თავის წვლილს აუცილებლად შეიტანს, ქალბატონ ნათელა დუმბაძეზე კი მინდა ვთქვა, რომ მან ამ პროექტით, თავისი საქმიანობით დიდი ისტორია შექმნა, - აღნიშნა აკადემიკოსმა ვანო პაპუნიძემ.

გაზეთი „აჭარა“ თავის მკითხველებთან ერთად, ულოცავს ბათუმელ სოროპტიმისტ ქალბატონებს საიუბილეო თარიღს, წარმატებებს უსურვებს მათ საქმიანობაში.

საქართველოში ხორბლის იმპორტი ძველ მაჩვენებელს უბრუნდება

საქართველოში წისქვილების ამოქმედების შესაძლებლობა ფასების დასტაბილურებამ, რუსეთში ხორბლის დიდმა მოსავალმა და საბაჟო გადასახადის დაწევამ გააჩინა. ხორბლისა და ფქვილის მწარმოებელთა ასოციაციის ხელმძღვანელ ლევან სილაგავას თქმით, მართალია, სხვადასხვა სიმძლავრით, მაგრამ დღეს თითქმის ყველა დიდი წისქვილი მუშაობს.

„ჩვენთვის დღეს სიტუაცია შედარებით უკეთესია მსოფლიო ბაზრებზე მარცვლეულის ფასების კლების ტენდენციიდან და რუსეთის კარგი მოსავლიდან გამომდინარე. ასევე საკმაოდ დაწეულია მცურავი ბაჟიც, რამაც, ხორბალთან ერთად, ფქვილზე ფასის კლებაც გამოიწვია. შედეგად საქართველოში წისქვილკომბინატებს ამუშავების საშუალება მიეცა. 2 თვეა, ბაზარზე გარკვეული სტაბილიზაციაა და ხორბლის მარაგები უკვე არსებობს. აგვისტოში შემოვიდა 30 ათასი ტონა, სექტემბერში კი, ჩემი ინფორმაციით, 60 ათასი ტონა. როცა წისქვილებისთვის და ქვეყნისთვისაც სტაბილური დრო იყო, თვეში 60-70 ათასი ტონა შემოდიოდა სტაბილურად და ამ მიჯნაზე, ფაქტობრივად, გავედით... გაიაფდა ფქვილი. მეპურეებიც ამბობენ, რომ მათაც გააიაფეს პური“, - განაცხადა სილაგავამ „ბიზნესპრესნიუსთან“.

აღსანიშნავია, რომ რუსული სამხედრო ძალების მიერ კიევზე იერიშის მიტანისა და ომის გამწვავების ფონზე, საერთაშორისო ბირჟაზე ხორბლის ფასი მყისიერად გაიზარდა. ბირჟის გახსნიდან რამდენიმე საათში ხორბლის ფასი თითქმის 4,5%-ით გაიზარდა და ბუშელის ღირებულებამ 9,920 დოლარი შეადგინა, რაც ივნისის შემდეგ დაფიქსირებული უმაღლესი ნიშნული იყო. ახლა ბაზარზე ფასები კვლავ მცირდება და გუშინ ერთი ბუშელი 8,930 დოლარი ღირდა.

ამირან გურიელიძე

კომპიუტერი vs ჯანმრთელობა

ქეთევან კილაძე 593 73 45 74

ჩვენს ცხოვრებაში ციფრული ტექნოლოგიების შემოჭრამ ერთგვარი დილემის წინაშე დაგვაყენა: სამსახურებრივი მოვალეობა-სწავლა-გართობა-შემეცნება-კომპიუტერი-ჯანმრთელობა. ფაქტები მკაცრად გვიმტკიცებს, რომ ეკრანთან და კლავიატურასთან გატარებული საათები ადამიანის ჯანმრთელობაზე უარყოფითად აისახება. ამტომ სულ უფრო აქტუალური ხდება პასუხი კითხვაზე - ჯანმრთელობის რა პრობლემებთან არის კომპიუტერის მოხმარება დაკავშირებული და როგორ შეიძლება მათი თავიდან აცილება?

თვალის პრობლემა. აქამდე მიიჩნეოდა, რომ მხედველობას აქვეითებს დიდი ხნის განმავლობაში ტელევიზორის ყურება, ცუდი განათების პირობებში და მოძრავ ტრანსპორტში კითხვა. დღეს ამ მიზეზებს ყველაზე მძაფრი მავნე ფაქტორი - კომპიუტერი (პლანშეტი, ანდროიდი, ტაბლეტი...) დაემატა. 1998 წელს ამერიკელმა მედიკოსებმა შემოიღეს ახალი ტერმინი - კომპიუტერული დაღლილობის სინდრომი (Computer Vision Syndrome, CVS) იგივე კომპიუტერული ასთენოპია. CVS-ი მხედველობის სპეციფიკური დარღვევაა და კომპიუტერით ხანგრძლივად მოსარგებლეებს ემართება - დაახლოებით 40%-ს.

სპეციალისტებმა გამოყვეს 5 ძირითადი მიზეზი, რომლებიც უარყოფითად მოქმედებს თვალზე:

1. მონიტორებზე გამოსახულების პიქსელური სტრუქტურა - ეკრანზე გამოსახულება არა ხაზებით, არამედ მიკროსკოპული წერტილების სახით მოგვეწოდება, რაზეც თვალი მწვავედ რეაგირებს;

2. თვალზე უარყოფითად მოქმედებს მონიტორიდან არეკლილი სინათლე. მონიტორიდან წამოსული სინათლის სხივები როცა პირდაპირ ხვდება თვალზე, აზიანებს ტვინს, რადგან მხედველობის დაღლა - ეს ტვინის დაღლაცაა;

3. მონიტორს უმეტესად მცრე კონტრასტულობა აქვს, რაც თვალს ძაბავს და ადვილად ღლის;

4. მხედველობაზე უარყოფითად აისახება აგრეთვე კადრების ნათების მონაცვლეობა;

5. მხედველობას აუარესებს მონიტორზე წარმოქმნილი ბლიკები, რომლებიც ვლინდება სხვა მანათობელი საგნების ანარეკლის სახით.

მხედველობას ვნებს მონიტორსა და თვალებს შორის არასწორად შერჩეული დისტანცია და ფერები. ამასთან, თვალები სწრაფად იღლება ეკრანსა და კლავიატურას შორის მზერის გამუდმებული გადატანით. კომპიუტერი არ იწვევს არც გლაუკომას, არც კატარაქტას, ერთადერთი მოსალოდნელი ცვლილება ახლომხედველობის განვითარება ან გაძლიერებაა.

CVS-ის ყველა სიმპტომი 2 ჯგუფად იყოფა - მხედველობის და ე. წ. თვალების სიმპტომები.

მხედველობის სიმპტომებიდან აღსანიშნავია: მხედველობის სიმახვილის დაქვეითება; აკომოდაციის დარღვევა - შენელებულია ახლოს არსებული საგნებიდან შორეულზე ფოკუსირება და პირიქით; მხედველობის გაორება; კითხვის დროს თვალების სწრაფი დაღლა; მაკკალაჰის მხედველობითი ეფექტი - თუ ეკრანიდან მზერას შავ ან თეთრ საგანზე გადავიტანთ, ის იმ ფერისა მოგვეჩვენება, რომელიც დომინირებდა ეკრანზე.

თვალის სიმპტომებიდან აღსანიშნავია: თვალებში წვის შეგრძნება; სიმშრალისა და უცხო სხეულის შეგრძნება; ქუთუთოების ქვეშ ქვიშის შეგრძნება; ტკივილი თვალბუდისა და შუბლის არეში; ტკივილი თვალის მოძრაობის დროს; თვალის ლორწოვანი გარსის სიწითლე.

კომპიუტერის მუდმივი მომხმარებლების უმრავლესობა ჩივილებს აღნიშნავს კომპიუტერთან 4 საათის განმავლობაში შეუსვენებლივ მუშაობის შემდეგ, ხოლო 6 საათის მუშაობის შემდეგ ეს ჩივილი აქვს პრაქტიკულად ყველას. შედარებით ნაკლები დატვირთვა ადგება მხედველობას მონიტორიდან ინფორმაციის კითხვისას, მეტი - მისი შეყვანისას. ყველაზე მეტად დაღლას იწვევს მუშაობა დიალოგურ რეჟიმში და კომპიუტერული გრაფიკა.

ექიმები გვირჩევენ, შევზღუდოთ კომპიუტერთან მუშაობის ხანგრძლივობა, სწორად შეირჩეს მონიტორის მდებარეობა და დროდადრო შევისვენოთ, ასევე, სწორად შევარჩიოთ მონიტორი. მაგ. დიაგონალი - 17 ინჩი, გარჩევადობა -1280X1024 პიქსელი, სამუშაო სიხშირე - 100 ჰც. მაქსიმალურად უნდა იყოს შემცირებული მონიტორიდან არეკვლის დონე. თვალებსა და მონიტორს შორის მანძილი 40-60 სმ (მონიტორის ზომიდან გამომდინარე). მონიტორის ირგვლივ ფონური განათება თვალს უნდა სიამოვნებდეს. მონიტორთან მუშაობისას 20-30 წუთში ერთხელ აუცილებელია შესვენება 2-3 წუთით. სასურველია მოკლე ხნით მხედველობის კონცენტრირება შორეულ საგნებზე და თვალების გავარჯიშება. მაგალითად, თვალის კაკლები აქეთ-იქით ვამოძრაოთ. 6-7 წლამდე ბავშვებისთვის საერთდ არაა რეკომენდებული კომპიუტერით სარგებლობა, 7-12 წლის ნორმალური მხედველობის ბავშვებისთვის - არა უმეტეს 1 საათისა, 12-15 წლის მოზარდებისთვის - დღეში არა უმეტეს 2-2,5 საათისა.

მონიტორთან მუშაობის დროს სასურველია, სკამი ბრუნავდეს, კისერი და ხერხემალი ერთ დონეზე უნდა იყოს, ტერფები კი აუცილებლად ეხებოდეს იატაკს. სამუშაო ოთახი ხშირად უნდა განიავდეს და დალაგდეს სველი წესით.

კომპიუტერულ-მხედველობითი სინდრომის მკურნალობისას ოპტიკურ კორექციას ან მედიკამენტებს საჭიროების შემთხვევაში ნიშნავს მხოლოდ ოფთალმოლოგი. ზოგჯერ ეფექტურია ბუნებრივი ცრემლის პრეპარატები - თავიდან აგვაცილებს თვალის ლორწოვანი გარსის გამოშრობას. კომპიუტერთან ხანგრძლივი მუშაობისას 3-4 საათში ერთხელ უნდა ჩავიწვეთოთ. სასარგებლოა შავი მოცვის ტაბლეტები ან სიროფი, რომელიც აქტიურებს ბადურას გარსს. ზრდასრულ ასაკში კომპიუტერული მხედველობის სინდრომი შექცევადია - სათანადო მკურნალობისა და კომპიუტერული ჰიგიენის დაცვის პირობებში 2-3 კირაში ალაგდება. უფრო სენსიტიურია 20-25 წლის ასაკი - აკომოდაციის დიდი რეზერვის გამო გვიან გრძნობენ დისკომფორტს, ჩივილების გამოვლენის დროს კი უკვე აღენიშნებათ რეფრაქციის მანკი ან ასთენოპია, ამიტომ განსაკუთრებით უნდა დაიცვან პროფილაქტიკური რჩევები - კომპიუტერული ჰიგიენის დაცვა, ოფთალმოლოგიური სკრინინგი, ადეკვატური ოპტიკური კორექცია, მედიკამენტური მკურნალობა და ა. შ.

კუნთებისა და სახსრების დაზიანება. სხეულის არაადეკვატური პოზა კომპიუტერთან მუშაობისას, იშვიათი შესვენება, კუნთების ზედმეტი ძალდატანება იწვევს კუნთებისა და სახსრების დაზიანებას. ხშირია კისრის გაშეშება, ბეჭების, ზურგის, გვერდების ტკივილი, ფეხის კუნთების დაჭიმულობა, თითების დაბუჟება, მგრძნობელობის დაქვეითება, კიდურების სისუსტეც კი, როცა ხელით ნატიფი მოძრაობების განხორციელება პრაქტიკულად შეუძლებელი ხდება. ის მტევნის სახსრის არეში ნერვის დაზიანებით არის გამოწვეული და «მტევნის გვირაბის სინდრომს» უწოდებენ. თავდაპირველად მკურნალობა შესაძლოა ფიქსატორებით და მედიკამენტებით, მოგვიანებით კი მხოლოდ ქირურგიული გზით.

კომპიუტერთან ხანგრძლივმა მუშაობამ ასევე შეიძლება გამოიწვიოს ნევროზული დარღვევები, მეხსიერების დაქვეითება, საერთო სისუსტე, ტაქიკარდია, ყურადღების კონცენტრირების დაქვეითება, პიროვნული ცვლილებებიც კი. ყოველივე ეს თავიდან რომ ავიცილოთ, ვეცადოთ, თავისუფალი დრო ნაკლებად გავატაროთ კომპიუტერთან. მუშაობის დროს სხეულს მივცეთ სწორი პოზა, მონიტორი იყოს თვალის პირდაპირ და მის დონეზე, 40-70 სმ-ის დაცილებით. ბეჭდვის დროს ნუ დააფიქსირებთ მტევანს ერთ პოზაში, ზედმეტად ნუ დაძაბავთ, «მაუსიც» კლავიატურასთან ახლოს უნდა იყოს, თქვენთვის კომფორტულად. «თაგვის» მოძრაობისას ამოძრავეთ არა მხოლოდ მტევანი, რამედ წინამხარიც. ხერხემალი ჯდომისას უნდა იყოს გამართული, ფეხები იატაკის პერპენდიკულარულად, მუხლები თეძოებზე ოდნავ ქვევით და მაგიდის კიდიდან მინიმუმ 15 სმ-ით შეწეული, მხრები მოდუნებული და სხეულთან ახლოს. იდაყვები უნდა ეყრდნობოდეს სკამის გვერდებს. შეისვენეთ ყოველ 40 წუთში ერთხელ, შესვენებისას გაჭიმეთ სხეული, გაიარეთ, ვენური სტაზის თავიდან ასაცილებლად ამოძრავეთ ტერფები მუშაობის დროს; ცვალეთ ფეხის წვერებზე და ქუსლებზე დაყრდნობა, აწევ-დაწევა რამდენჯერმე გაიმეორეთ შესვენების დროს. სამუშაო გრაფიკის შემდეგ შეეცადეთ, იაროთ ფეხით სუფთა ჰაერზე.

მთავარი რედაქტორი
მარინა მითაიშვილი

გამომშვები რედაქტორი
ირმა შერვაშიძე

რედაქცია პასუხს არ აგებს უცხოური პრესიდან თარგმნილი მასალების, ფაქტების, ინფორმაციის სიზუსტეზე, აგრეთვე სარეკლამო განცხადებების შინაარსსა და სტილზე.
(R) ნიშნით აღნიშნული სტატიები იბეჭდება რეკლამის უფლებით.
რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ.

გამომცემელი - შპს «გაზეთი აჭარა და ადჭარია»
პოლიგრაფიული მომსახურება - შპს «კოლორ პრესი»
მის: ქ. თბილისი, ე. გაღდავაძის ქ. №3

მისამართი: 6000, ბათუმი, გრიგოლ ედოვის ქ. №2ბ
ტელ: 27-13-31
აინყო და დაკაბადონდა გაზეთ «აჭარის» კომპ. ცენტრში
დასაბეჭდად ხელმოწერილია 12/10/22, 20 10 სთ.

დირექტორი
მამუკა ბერიძე

შუახევში კინომოყვარულთა ახალგაზრდული ფესტივალი «აჭარული ამბები» ჩატარდა

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

ვახტანგ გოგრაჭაძეს საზოგადოება კარგად იცნობს. იგი უკვე რამდენიმე წიგნის ავტორია, პარალელურად, აქტიურადაა ჩართული მშობლიური შუახევის მუნიციპალიტეტის კულტურულ ცხოვრებაში. მისი ინიციატივით, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის, ა(ა)იპ «გადასხვაფერდის» მხარდაჭერით შუახევში კინომოყვარულთა პირველი ახალგაზრდული ფესტივალი «აჭარული ამბები» ჩატარდა

ფესტივალზე 25 წლამდე ახალგაზრდების 19 ფილმი იყო წარმოდგენილი. სპეციალურმა ჟიურომ, რომლის შემადგენლობაში იყვნენ კინომცოდნე ნინო გელოვანი, ჟურნალისტი ნათია თავდგირიძე, ეროვნული სასახლის სტუდია «პიონერფილმის» ხელმძღვანელი, «საპატიო თბილისელი» გრიგოლ ჩიგოგიძე, ფესტივალზე წარმოდგენილი ფილმებიდან საუკეთესოებად ქობულეთელი ლიზი როინიძის «თავი დამანებე», შუახეველი რენა თავდგირიძის «აჭარული ამბები», ქედელი ნუკრი დიასამიძის «ისა ამინი», შუახეველი საბა გოგრაჭაძის «გადასხვაფერდი», ბათუმელი მარიამ აბაშიძის «ჩვენ აქ ვართ», ხულოელი რამაზ გორგაძის, სულიკო დავლაძისა და რამაზ გორგაძის «განწირული სიჩუმე» და მალვინა ზოიძის «თანამედროვე აჭარელი ქალი» მიიჩნია.

ფესტივალი ნუკრი დუმბაძის «ისა ამინის» ჩვენებით გაიხსნა.

ამ ფილმების ჩვენების შემდეგ ფესტივალის მონაწილეებს მიესალმნენ შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე როსტომ ლორთქიფანიძე, მერის მოადგილეები რუსლან შავაძე, გურამ ზოიძე, აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კულტურის დეპარტამენტის უფროსი თამარ გუდავა, საქართველოს სახალხო არტისტი ზურაბ ცინცქილაძე, ჟიურის წევრები და სხვები.

ფესტივალის ორგანიზატორებმა და წამყვანებმა მადლობის სიგელები გადასცეს ყველა იმ პიროვნებას, რომლებიც აქტიურად იყვნენ ჩართული ფესტივალის მომზადებაში. სამადლობელი სიტყვები ითქვა ზურაბ ცინცქილაძის მისამართით, რომელიც ფილმების ავტორებთან მასტერკლასებს ატარებდა.

ფესტივალზე წარმოდგენილი ფილმების ავტორებს საპატიო სიგელები, პრიზები, საჩუქრები გადაეცათ. რჩეული ფილმები გახდა «თანამედროვე აჭარელი ქალი», «გადასხვაფერდი», «ისა ამინი» და «ჩვენ აქ ვართ». საუკეთესო მსახიობად საბა გოგრაჭაძე დაასახელეს, მოიწონეს ხელვაჩაურელი ანელი ირემაძის სამსახიობო გარდასახვა და ქობულეთელი ნია კაიკაციშვილის დოკუმენტური რეპორტაჟი. ყურადღების მიღმა არც შუახეველი მარიამ ქათამაძე, ხელვაჩაურელი დიანა ზიადუსტი, შალვა ხელაძე, «ევრო-2000»-ის მოსწავლეები, ხულოელები თამუნა გორგაძე, ნატო მიქელაძე, ქედელი ამირან დოლიძე დარჩენილან.

რჩეულების ნომინაციებში გამარჯვებულების დაჯილდოების შემდეგ ჯერი გრან-პრის მფლობელთა გამოვლენაზე მიდგა. ორი გრან-პრი იყო დაწესებული (დოკუმენტური და მხატვრული). დოკუმენტური ფილმისთვის გრან-პრი «აჭარული ამბების» ავტორს, შუახეველ რენა თავდგირიძეს ერგო, მას ჯილდო ნათია თავდგირიძემ გადასცა, მხატვრული ფილმის «თავი დამანებე» ავტორს, ქობულეთელ ლიზი როინიძეს კი გრან- პრი ზურაბ ცინცქილაძემ გადასცა.

- შუახევში ამ წამოწყებას კარგი პირი უჩანს. ვეცადეთ, ფესტივალზე წარმოდგენილი ყველა ფილმი სხვადასხვა მიმართულებით შეგვეფასებინა. ყველა მონაწილემ ფესტივალი კმაყოფილების გრძნობით, მეტის გაკეთების სურვილით დატოვა, - გვითხრა **ვახტანგ გოგრაჭაძემ.**

თამარ გუდავა: - აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელობა მივესალმებით ვახტანგ გოგრაჭაძის ამ წამოწყებას, ფესტივალმა გვაჩვენა, რომ ახალგაზრდების მისწრაფება, მათი უნარები ამოუწურავია. ფილმებში განსაკუთრებით წარმოჩენილია დედის, ქალის როლი ოჯახსა და საზოგადოებრივ გარემოში.

ზურაბ ცინცქილაძე: - «ისა ამინის» ავტორმა ნათლად დაგვანახა მსახიობის ადგილი ცხოვრებაში. ცნობილი რეჟისორებიც კი ხელს მოაწერდნენ იმ კადრს, რაც ფილმის ერთ ეპიზოდშია.

ნათია თავდგირიძე: - ფესტივალი შედგა. შუახევის მუნიციპალიტეტი პირველია, რომელმაც ამ წამოწყებას უმასპინძლა. დარწმუნებული ვარ, მომავალშიც გააგრძელებენ ავტორები მუშაობას, გააუმჯობესებენ ფილმების ხარისხს, რაოდენობას, თემატიკას. დავინახეთ, რომ ტელეფონითაც შესაძლებელია საინტერესო მომენტების გადაღება, რაც 21-ე საუკუნის მონაპოვარია. მომეწონა რამდენიმე ფილმი, დავინახე ახალგაზრდების ინტერესი, მათი ხედვა, აზრი, დამოკიდებულება დღეს არსებულ სოციალურ თუ ყოფით პრობლემებზე. მჯერა, ფილმების ავტორები გაიზრდებიან, მეტს ისწავლიან. 19 ავტორიდან რამდენიმე მომავალ ასპარეზად კინოს ან ჟურნალისტიკას აირჩევს.

ფესტივალის ფარგლებში სახელდახელო ინტერვიუ ჩავწერეთ ***გრიგოლ ჩიგოგიძესთან.***

- «პიონერი» ფრანგული სიტყვაა და პირველს ნიშნავს. როცა იმ შენობაში ფეხი შევდგი, მაშინ პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეს უწოდა. მას ამ დღეებში 65 წელი უსრულდება. ბედნიერი ვარ, რომ იქ ვაგრძელებ მუშაობას. ძალიან მიყვარს ჩემი საქმე. ქვეყანას სჭირდება, რომ ასეთი სასახლე, ცალკეული სტუდიები გვქონდეს, იქ ბავშვები ბევრს სწავლობენ. პარალელურად ვმუშაობდი საქართველოს ტელევიზიაში, «მოამბის» კორესპონდენტი ვიყავი. ახლაც «პიონერფილმის» ხელმძღვანელობას ოპერისა და ბალეტის თეატრში რეჟისორად მუშაობას ვუთავსებ.

- აჭარის მთიანეთთან რა გაკავშირებთ?

- ამ ურთიერთობას მშვენიერი ისტორია აქვს. «პიონერფილმელები» კუბაში მივლინებული ვიყავით. ჯგუფის ხელმძღვანელი პარტიული ფუნქციონერი უნდა ყოფილიყო. ეს მისია კოდებდნენ. კინომექანიკოსის სპეციალობას ვეუფლებოდი. გამოხდა ხანი და გაიხსნა სტუდია, რომელსაც ჩვენმა თაობამ «პიონერფილმი» უწოდა. მას ამ დღეებში 65 წელი უსრულდება. ბედნიერი ვარ, რომ იქ ვაგრძელებ მუშაობას. ძალიან მიყვარს ჩემი საქმე. ქვეყანას სჭირდება, რომ ასეთი სასახლე, ცალკეული სტუდიები გვქონდეს, იქ ბავშვები ბევრს სწავლობენ. პარალელურად ვმუშაობდი საქართველოს ტელევიზიაში, «მოამბის» კორესპონდენტი ვიყავი. ახლაც «პიონერფილმის» ხელმძღვანელობას ოპერისა და ბალეტის თეატრში რეჟისორად მუშაობას ვუთავსებ.

მკავშირის შუახევის რაიკომის პირველ მდივანს თემურ ზოიძეს დააკისრეს. ჩვენ ერთმანეთს დავუმეგობრდით. მითხრა, იქნებ შუახევსა და შუახეველებზე ფილმი გადაიღოთო. გამოხდა ხანი და შუახევის რაიონულ გაზეთ «დროშაში» დაიბეჭდა წერილი ჭვანელი ჭაღალიძეების ოჯახზე. ერეკლესა და მის მეუღლეს 8 ქალიშვილი ჰყავდათ. ჩვენს ჩამოსვლამდე მეცხრე, თანაც ვაჟი დაიბადა. ჩვენ დავარქვით მას დავითი. იგი უკვე 40 წელს უახლოვდება. ერთმანეთს ხშირად ვხვდებით, გვსტუმრობს სტუდიაშიც. იმ ფილმმა მაშინ დიდი პოპულარობა მოიპოვა. ქართველი ახალგაზრდების მაშინდელმა ლიდერმა ჟიული შარტავამ ფილმი ნახა, საპატიო დიპლომით დააჯილდოვა. ჩვენც დავითს ველოსიპედი ვაჩუქეთ. გავიდა წლები, ერეკლე ჭაღალიძე გარდაიცვალა. საბედნიეროდ, დავითის დედა ცოცხალია. დებს, ყველას ნორმალური ოჯახი ჰყავს, უფროსი დები 60 წელს უახლოვდებიან. მათ შთამომავლობას ვეცნობი. ერთხელ დაწყებული ურთიერთობები მეგობრობაში გადაიზარდა.

- ხომ არ გაქვთ ჩაფიქრებული აჭარის მთიანეთზე მორიგი ფილმის გადაღება?

- ისეთი თემა უნდა წამოვიდეს, როგორსაც მაშინ მივაგენით. მარტო ფილმის გადაღება არაა მთავარი, მან საუკუნეებს უნდა გაუძლოს. ჩემთვის ოჯახური ურთიერთობები, იდილია ძვირფასია. ჩემს მოსწავლეებსაც მოვუწოდებ, პირველი რიგში, ოჯახური სიტუაციები წამოსწიონ წინა პლანზე. ოჯახი, ქართული სოფელი უდიდესი ფენომენია.

- ახლოვდება შუახევის რაიონის დამოუკიდებელ ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფის 70 წლისთავი. მთელი ამ დროის განმავლობაში პირველად ჩატარდა კინომოყვარულთა ახალგაზრდული ფესტივალი. თქვენი შეფასება როგორია?

- ამ ფესტივალს გრანდიოზულ წამოწყებად მივიჩნევ. 19 ფილმი იყო წარმოდგენილი. მათ გადაღებაზე, ცალკეული როლების შესრულებაზე 50-ზე მეტი ბავშვი იყო დაკავებული. ისინი დროებით ჩამოსცილდნენ ქუჩას, სოფლის აუარზაურს, მობილურ ტელეფონებში კირკიტს, კომპიუტერებთან დროის ფლანგვას. სასიამოვნოა, რომ ბავშვები საღად აზროვნებენ. ჩემი წილი მადლობა აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, შუახევის თვითმმართველობას, ფესტივალის ორგანიზატორ ვახტანგ გოგრაჭაძეს. იგი თბილისში ჩამოვიდა. მისი რეკომენდაციით გადაღებულმა ფილმმა «წყაროთული ამბები» კარგი შთაბეჭდილება დატოვა. საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მას და ფილმის რეჟისორ საბა გოგრაჭაძეს სამახსოვრო ჯილდო გადასცა. წარმატებებს ვუსურვებ ახალ წამოწყებას.

თამუნა გაჩეჩილაძე: ვცდილობ, პატარა წვლილი შევიტანო ადამიანების გაბედნიერებაში

ნათია იმნაიშვილი 27 48 93

თამუნა გაჩეჩილაძე *პროფესიით ისტორიკოსი და იურისტია, თუმცა ამ მიმართულებებით მცირე ხნით იმუშავა. დღეს ის რადიკალურად განსხვავებულ სფეროში მოღვაწეობს, ქმნის თოჯინებს, საახალწლო აქსესუარებს. უსაზღვროა მისი სიყვარული ხელოვნებისადმი, რომელიც მისთვის მხოლოდ ჰობი არ არის. ადრეული ასაკიდანვე მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია, ეს ისაა, რაც ასაზრდოებს და ძალიან დიდ ბედნიერებას ანიჭებს. თამუნა ჩვენი სტუმარია და თავად მოგვიყვება განვლილ გზასა და იმ სიყვარულზე, რომელიც თან ახლავს პროცესს, რომლითაც უკვე დიდი ხანია დაკავებულია.*

- როდის და რატომ დაუკავშირეთ ბედი ხელოვნებას?

- მასთან პირველი შეხება ძალიან დიდი ხნის წინათ იყო... სტუდენტობის დროს განვაახლე ეს კავშირი - მეგობრებისთვის ვქმნიდი ხელნაკეთ თოჯინებს, ვჭრიდი ძველ კაბებს, ბებიის ჯადოსნურ სკივრში ვპოულობდი ათასფერ მაქმანებს, ღილებს, შემდეგ კი ვცდილობდი, ეს თოჯინები ბედნიერ, ფერად, ლაღ არსებებს დამსგავსებოდნენ. მიხაროდა, ჩემი თოჯინები მეგობრების სახლში რომ იწყებდნენ ცხოვრებას და სურვილი მიჩნდებოდა, კიდევ უფრო მეტი და განსხვავებული რამ შემექმნა.

- რა ან ვინ არის თქვენი მუზა?

- სიმართლე გითხრათ, ყველაფერში ვცდილობ, დავინახო რაღაც განსაკუთრებული, ჯადოსნური... სწორედ ეს მეხმარება ისეთი ნამუშევრების შექმნაში, რომლებიც ფერადოვნებისა და სიხალისის განსახიერება იქნება. ვცდილობ, პატარა წვლილი შევიტანო ადამიანების გაბედნიერებაში, ჩემი საქმე კი ამ ყველაფერში მეხმარება. ამაზე დიდი მუზა არა მგონია, არსებობდეს!

- რომელიმე ნამუშევარი თუ გიყვართ გამორჩეულად?

- კი, არის ნამუშევრები, რომლებსაც ვერასოდეს შეველევი. განსაკუთრებულად მიყვარს ღილებით შექმნილი ნაძვის ხე, სამი ათასი ღილით და ექვსი ათასი ქინძისთავით დამზადებული. გერმანიაში შემთხვევით წავაწყდი ულამაზეს ღილებს და... ათი კილო ჩამოვიტანე.

- რა არის თქვენთვის ხელოვნება?

- ხელოვნება სიცოცხლეა. არასოდეს მომბეზრდება მუზეუმებში ხეტიალი, ხელოვანი ადამიანების ყურება, როცა ნებისმიერ ხელნაკეთ ნივთს ქმნიან.

- ამბობენ, ხელოვნებას ადამიანი სხვა განზომილებაში გადაჰყავსო.

- შემოქმედების ნაყოფის ნახვა, ვფიქრობ, უფრო კეთილშობილ და ღირსეულ პიროვნებად გვაქცევს, თუნდაც წამით. ვერ წარმოიდგენთ, რა სასიამოვნოა, როცა თუნდაც პრადოს მუზეუმში დადიხარ და უკვე იცი, რომელ კუთხეში რა ნამუშევარი გელოდება, როცა მედიჩების სასახლეში აღორძინების ხანის გენიოსების ნახატებს აკვირდები, როცა ვენაში ჰაბსბურგების სასახლეში დედოფალ სისის დახვეწილი გემოვნებით შექმნილ გენიალურად მოწყობილ ოთახებს ათვალიერებ... ჩამონათვალი უსასრულოა, ბედნიერია ყველა, ვისაც მოგზაურობა შეუძლია.